სსრ კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი | № 80 (11691) | სამშაბათი, 5 აპრილი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი კომუნიკე

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალ დე გოლის მიწვევით 1960 წლის 23 მარტიდან 3 აპრილამდე საფრანგეთში ვიზიტით იმყოფებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. ნ. ს. ხრუშჩოვს თან ახლდნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომური ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროსი ვ. ს. ემელიანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის თავმჯდომარე ო. ი. ივაშჩენკო, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. მ. მარკოვი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი.

თავისი ვიზიტის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა იმოგზაურეს საფრანგეთში და შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ საფრანგეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ზოგიერთ მიღწევას, აგრეთვე შეხვედროდნენ საფრანგეთის სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებს.

პარიზსა და რამბუიეში გაიმართა ნ. ს. ხრუშჩოვისა და გენერალ დე გოლის მოლაპარაკება, რომელშიც არაერთხელ მონაწილეობდნენ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მ. დებრე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრები ა. ა. გრომიკო და მ. კუვ დე მიურვილი. მოეწყო აგრეთვე საბჭოთა მთავრობის წევრების ა. ნ. კოსიგინისა და ა. ა. გრომიკოს შეხვედრები საფრანგეთის მთავრობის წევრებთან ვ. ბაუმგარტნერთან და მ. კუვ დე მიურვილთან. რომლების დროსაც მათ განიხილეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი.

მოლაპარაკება ეხებოდა აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სახელმწიფოთა ან მთავრობათა მეთაურების მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით. განხილულ იქნა აგრეთვე საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის განვითარების საკითხები.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის განვითარება მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით და მათ შორის უკეთესი ურთიერთგაგების დამყარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და მშვიდობის განმტკიცებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და გენერალმა დე გოლმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი განიარაღების საკითხზე. მათ კვლავ დაადასტურეს, რომ განიარაღება თანამედროვეობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემაა. მათ სურვილი გამოთქვეს, რომ 10 სახელმწიფოს მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ამჟამად ჟენევაში მიმდინარეობს, შემუშავდეს გარკვეული შეთანხმებული თვალსაზრისი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ყურადღება დაუთმეს იმ საკითხების გადაჭრის შესაძლებლობებს, რომლებიც გერმანიას ეხება, მათ შორის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებასა და ბერლინის საკითხს. საუბრების მსვლელობაში სავსებით გამოირკვა ორივე ქვეყნის პოზიციები. ნ. ს. ხრუშჩოვმა და გენერალმა დე გოლმა აღიარეს, რომ ამ საკითხების თანმიმდევრულ მოწესრიგებას შეთანხმებულ საფუძველზე მოლაპარაკების გზით დიდი მნიშვნელობა ექნება ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების დაცვისა და განმტკიცებისათვის.

მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა განიხილეს ევროპაში მშვიდობის განმტკიცების პრობლემა, რომელსაც ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, და რწმენა გამოთქვეს, რომ ევროპის უშიშროების განმტკიცება შეესაბამება ორივე ქვეყნის, აგრეთვე ევროპის ყველა სხვა ხალხის საარსებო ინტერესებს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და გენერალმა დე გოლმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ვაჭრობა კეთილსაურველად ვითარდებოდა ორივე ქვეყნის სასარგებლოდ. სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის საქონელბრუნვის მნიშვნელოვან გადიდებას ბევრად შეუწყო ხელი იმან, რომ მხარეებს შორის დაიდო და წარმატებით ხორციელდებოდა გრძელვადიანი შეთანხმებანი საქონლის ურთიერთმიწოდების საკითხზე.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და გენერალ დე გოლს შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიაჩნიათ დასახონ ორივე ქვეყანას შორის უახლოეს წლებში ვაჭრობის არსებითი გადიდების მიზანი. ამ მიზნის შესაბამისი იქნებოდა უფრო ხანგრძლივი ვადით დადებული საავაჭრო შეთანხმება. ამჟამად მოქმედი შეთანხმება დაიდო 1960-1962 წლების პერიოდისათვის და დაწერილებით ითვალისწინებს ურთიერთ ექსპორტსა და იმპორტს მომავალი წლის ბოლომდე.

გადაწყდა, რომ 1960 წელს შეიკრიბებიან ექსპერტები და გაიმართება მოლაპარაკება, რათა დაწესდეს საქონელბრუნვა არა მარტო 1962 წლისათვის, რომელიც ამჟამად მოქმედი შეთანხმების უკანასკნელი წელია, არამედ მომდევნო სამი წლისთვისაც. ამრიგად, საქონელბრუნვა შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მიმდინარე წლის ბოლოდან უახლოესი ხუთი წლისათვის, ესე იგი 1965 წლის ბოლომდე.

მხარეებმა ცნეს, რომ საქონელბრუნვის ზრდა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მის ასორტიმენტზე. ამასთან დაკავშირებით ბაზრების შესწავლამ, რასაც ორივე მხარე განახორციელებს ამ ორი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოთა სრული დახმარებით, ხელი უნდა შეუწყოს გათვალისწინებული მოლაპარაკების წარმატებას.

ამრიგად, ორი ქვეყნის საქონელბრუნვა უახლოეს ხუთ წელიწადში შესაძლებელია მნიშვნელოვნად გადიდდეს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და გენერალმა დე გოლმა გამოთქვეს მისწრაფება — გაეფართოონ გაცვლა მეცნიერული კვლევის და ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

მოლაპარაკების მსვლელობაში ნ. ს. ხრუშჩოვი და გენერალი დე გოლი ადასტურებდნენ, რომ პირადი კონტაქტებს შესაძლებლობას იძლევა დამყარდეს და განმტკიცდეს ნდობა და კეთილი თანხმობა სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის და ამით ყველაზე ქმედითად შეუწყონ ხელი სასურველი პროგრესის უზრუნველყოფას მთელი მსოფლიოს თანხმობისა და მშვიდობის საქმეში, რასაც მოითხოვენ ხალხები. ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ მათ შესაძლებლობა ეძლევათ განაგრძონ ეს მოლაპარაკება უმაღლესი დონის მომავალ თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ერთად, თათბირზე, რომელიც შესაძლებელი გახდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მეოხებით. ორივე მთავრობა იმედოვნებს, რომ უმაღლესი დონის თათბირის შედეგები გამოიწვევენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი შეთანხმდნენ, რომ ყველა მოუწესრიგებელი საერთაშორისო საკითხი უნდა გადაიჭრას არა ძალის გამოყენებით, არამედ მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების გზით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიწვია გენერალი დე გოლი სახელმწიფო ვიზიტით ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სიამოვნებით დათანხმდა ამ მიწვევაზე. ვიზიტის ზუსტი დრო შეთანხმებულ იქნება დამატებით დიპლომატიური არხების მეშვეობით.

მშვიდობის საწინდარია

მოსკოვის მშრომელთა მიტინგი

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლის უდიდესი დარბაზი 4 აპრილს ხალხით იყო გაჭედილი. აქ შეიკრიბნენ დედაქალაქის მრავალ ათასობით მუშა, ინტელიგენციის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები, სტუდენტები. ისინი შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც წინადღეს დაბრუნდა საფრანგეთში მოგზაურობიდან. ეს სახელმწიფო ვიზიტი, რომლითაც ახალი თავი დაიწყო საბჭოთა კავშირ საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიაში, მნიშვნელოვანი წვლილი იყო ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. საბჭოთა ადამიანები სულით და გულით მიესალმნენ საფრანგეთში მოგზაურობას, რომელიც დაგვირგვინდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების ხელმოწერით.

სპორტის სასახლეში იყვნენ სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის მარშლები. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთელი რიგი სამინისტროების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

შეკრებილთა შორის იყვნენ დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზი სადღესასწაულოდ არის მორთული. სცენის სიღრმეში ალისფერ ქსოველს აწერია მოწოდება: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ყველა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას!“

ჩვიდმეტი საათია. ათასობით ადამიანი ფეხზე წამოდგა. იგრიალა ოვაციამ: პრეზიდიუმში გამოჩნდნენ ამხანაგები **ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი** და ის პირნი, რომლებიც საბჭოთა მთავრობის მეთაურს ახლდნენ მოგზაურობის დროს.

პრეზიდიუმში იყო აგრეთვე საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჟან დე ლა გრანჟილი.

საფრანგეთში ისტორიულ ვიზიტის შესანიშნავი წარმატება ნ. ს. ხრუშჩოვს თავის შესავალ სიტყვაში მიეულოცა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ი. უსტინოვმა.** მან თქვა:

— ჩვენ დიდად გვაბარებს გულითადი მიღება, რაც მილიონობით ფრანგმა მოუწყო საბჭოთა სტუმარს. გულწრფელი სტუმართმოყვარეობა და გულითადობა, რომლებითაც ჩვენი მთავრობის მეთაურს შეხვდა მთელი საფრანგეთი, ჩვენ მიგვაჩნია ორი ქვეყნის ხალხთა მორის მეგობრობის მყაფიო გამოვლინებად. და საბჭოთა ადამიანები დიდად დააკმაყოფილა იმან, რომ თქვენს მოგზაურობას მოჰყვა ამ ტრადიციული მეგობრობის განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელება, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება. ეს იმას ნიშნავს, რომ „ცივი ომის“ ყინული, რომელიც თქვენ ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს დაამსხვრიეთ, სულ უფრო გადნება.

მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური იდეები, განაგრძო ამხ. უსტინოვმა, ამჟამად უფრო და უფრო მეტად აღიარებული ხდება სულ სხვადასხვა ქვეყნებში. სულ უფრო მტკიცედ და ძლიერ გაისმის მშვიდობის ძოძრეთა ზმა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის. და ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თანამედროვეობის ამ დიად მოძრაობას სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის მძლავრი ბანაკის ქვეყნები, ვამაყობთ ჩვენი პარტიით, რომელიც მტკიცედ აბრიკელებს მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას. ვამაყობთ თქვენთან, ამხანაგო ხრუშჩოვ, მშვიდობისათვის თქვენი დაუცხრომელი ბრძოლით ჩვენს პარტიასთან ერთად.

მოგონებს რა დამსწრეთ აღფრთოვანებულ შეხვედრას, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვს მოუწყეს მოსკოველებმა გასულ კვირას, ამხ. უსტინოვი გახსნილად აცხადებს საფრანგეთში მოგზაურობიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დაბრუნებისადმი მიძღვნილ მტინგს.

მოსკოვის მუშების სახელით საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულითადად მიესალმა ქარხანა „დინამოს“ მხეხავი **ვ. ა. პეტროვსკი.**

— ჩვენ, დინამოელები, ამბობს იგი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ გავიხილავდით ყოველ ცნობას თქვენი ყოფნის შესახებ საფრანგეთში. ეკითხულობდით ამ მასალებს და გულით გბრობდით ჩვენი მშვენიერი სამშობლოსათვის, ჩვენი საბჭოთა წყობილებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს, მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისათვის. და ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, გულწრფელ მადლობას ვუძღვნით ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დასამყარებლად თანმიმდევრული მტკიცე ბრძოლისათვის. ეს პოლიტიკა დღითიდღე პოულობს სულ უფრო მეტ მომხრეს მთელ მსოფლიოში. და ეს არის, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძეო, თქვენი ფასდაუდებელი დამსახურება.

მოსკოველ ოლქის კოლმეურნეთა საბჭოს სახელით გამოდის ლენინის რაიონის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ბრიგადირი **ზ. ა. კაპუსტინა.**

— ჩვენ, კოლმეურნეები, ამბობს ზ. ა. კაპუსტინა, რომელიც მიმართავს ნ. ს. ხრუშჩოვს, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი კომუნისტური პარტიისადმი, თქვენდამი — მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლისადმი უღრმესი მადლობის გრძნობით, მხურვალედ მივესალმებით საფრანგეთში თქვენი ვიზიტის შესანიშნავ შედეგებს.

ზ. ა. კაპუსტინა ამბობს, რომ უკვე 17 წელია ბრიგადირად მუშაობს და არ ახსოვს ასეთი, ჭეშმარიტად დიადი აღმავლობა, რომლითაც ახლა კოლმეურნეები შრომობენ. ჩვენი არტელის წევრები, აცხადებს იგი, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კიდევ მეტი ხორცი, რძე და ბოსტნეული მიაწოდონ ჩვენს საყვარელ დედაქალაქ მოსკოვს, შვიდწლედის მეორე წელი აღნიშნონ დიდ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებით. ეს იქნება ჩვენი მცირედი წვლილი მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

დღეს მთელი გულით მინდა ვთქვა — დიე როგორც გაზაფხულზე ბუნება, ისე გაიფურჩქნოს ხალხთა მძლავრი მოძრაობა მშვიდობისათვის.

სიტყვა ეძლევა მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნების საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერს **ა. ა. ფედოროვს,** რომელიც საბჭოთა დედაქალაქის ინტელიგენციის სახელით გამოდის.

იგი ამბობს, რომ მას, როგორც საფრანგეთში წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეს, განსაკუთრებით კარგად ახსოვს მეორე მსოფლიო ომის წლები, როცა საბჭოთა და ფრანგი ხალხები მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის — ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. და ახლა, როცა გერმანელმა რევანშისტებმა კვლავ წამოიყვეს თავი, როცა ყანცლერი ადენაუერი იმეორებს ჰიტლერის ბოდვას გერმანელი ერის განსაკუთრებული მისიის შესახებ, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცება დიდ როლს შეასრულებს ევროპის მშვიდობისათვის ბრძოლაში, აცხადებს ამხ. ფედოროვი.

გამოდის ბამბეულის კომბინატის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ ახალგაზრდა მრთველი **ზ. ე. სემენკოვი.**

ზ. ე. სემენკოვი ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმა მოსკოვის ჰაბუკებისა და ქალიშვილების სახელით და თქვა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა, ასრულებს რა ლენინის ანდერძს, რომ ისწავლოს, იცხოვროს და იმუშაოს კომუნისტურად, წარმატებით ახორციელებს კომენისტური პარტიის მიერ დასახულ გეგმებს.

„ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ ახალგაზრდა მრთველი პირობას აძლევს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ დედაქალაქის ახალგაზრდა მუშები მთელ თავიანთ ენერგიას, მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ იყოს დიადი საბჭოთა ხალხის ღირსეული შვილები, კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

შეკრებილნი მქუხარე ტაშს უკრავენ, როცა ტრიბუნაზე ადის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. ხრუშჩოვი.** იგი ამბობს საფრანგეთში მოგზაურობის შედეგებისადმი მიძღვნილ ვრცელ სიტყვას.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო მოსკოველებო!

ჩვენში უკვე კარგი ტრადიცია გახდა, როცა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი მოღვაწეები უცხო ქვეყნებში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ანგარიშს გაბარებენ თქვენ, ხოლო თქვენი სახით — მთელ ხალხს გაწეული მუშაობის შესახებ.

მე არაერთხელ მომიხდა ასეთი ანგარიში გამეკეთებინა. და მთელი გულახდილობით უნდა ვთქვა, რომ ყოველთვის, როცა ამ ტრიბუნაზე ავდივარ, დიდად ვღელავ, რადგან კარგად მესმის, რომ ასეთი გამოსვლა ძალიან პასუხსაგები საქმეა, უშუალო ანგარიშია ხალხის წინაშე იმის შესახებ, თუ როგორ წარმოადგენდი საზღვარგარეთ შენს დიდ ქვეყანას, ღირსეულად გამოხატავდი და იცავდი თუ ვერა იქ საბჭოთა ხალხის ინტერესებს.

ყოველთვის, როცა უცხოეთში მოგზაურობიდან სამშობლოში ვბრუნდებოდით, ჩვენ პირდაპირ აეროდრომიდან მოვიჩქაროდით თქვენთან შესახვედრად. ჩაბარებ ანგარიშს და ერთბაშად მოგეშვება გულზე, მაშინ, როგორც იტყვიან, უფრო მშვიდად ვძინავს. ამჯერად გამოვდა ისე, რომ საფრანგეთიდან მოსკოვში კვირას დავბრუნდით და ამასთან უკვე საღამო იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ არც გვიფიქრია, რომ მიტინგი გაიმართებოდა კვირა დღეს, როცა ადამიანები ისვენებენ. მაგრამ ამით მე საქმე როდი გამიადვილდა, რადგან ზედმეტი დღეღამე მღელვარება მემატებოდა.

და აი ახლა ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, ძვირფასო ამხანაგო მოსკოველებო! ჩვენი ყოფნა საფრანგეთში, სადაც მიგვიწვია საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალმა ღე გოლმა, **ნი, დ. ს. პოლიანსკი** და ის პირნი, რომლებიც საბჭოთა მთავრობის მეთაურს ახლდნენ მოგზაურობის დროს.

პრეზიდიუმში იყო აგრეთვე საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჟან დე ლა გრანჟილი.

საფრანგეთში ისტორიულ ვიზიტის შესანიშნავი წარმატება ნ. ს. ხრუშჩოვს თავის შესავალ სიტყვაში მიეულოცა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ი. უსტინოვმა.** მან თქვა:

— ჩვენ დიდად გვაბარებს გულითადი მიღება, რაც მილიონობით ფრანგმა მოუწყო საბჭოთა სტუმარს. გულწრფელი სტუმართმოყვარეობა და გულითადობა, რომლებითაც ჩვენი მთავრობის მეთაურს შეხვდა მთელი საფრანგეთი, ჩვენ მიგვაჩნია ორი ქვეყნის ხალხთა მორის მეგობრობის მყაფიო გამოვლინებად. და საბჭოთა ადამიანები დიდად დააკმაყოფილა იმან, რომ თქვენს მოგზაურობას მოჰყვა ამ ტრადიციული მეგობრობის განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელება, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება. ეს იმას ნიშნავს, რომ „ცივი ომის“ ყინული, რომელიც თქვენ ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს დაამსხვრიეთ, სულ უფრო გადნება.

მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური იდეები, განაგრძო ამხ. უსტინოვმა, ამჟამად უფრო და უფრო მეტად აღიარებული ხდება სულ სხვადასხვა ქვეყნებში. სულ უფრო მტკიცედ და ძლიერ გაისმის მშვიდობის ძოძრეთა ზმა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის. და ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თანამედროვეობის ამ დიად მოძრაობას სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის მძლავრი ბანაკის ქვეყნები, ვამაყობთ ჩვენი პარტიით, რომელიც მტკიცედ აბრიკელებს მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას. ვამაყობთ თქვენთან, ამხანაგო ხრუშჩოვ, მშვიდობისათვის თქვენი დაუცხრომელი ბრძოლით ჩვენს პარტიასთან ერთად.

მოგონებს რა დამსწრეთ აღფრთოვანებულ შეხვედრას, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვს მოუწყეს მოსკოველებმა გასულ კვირას, ამხ. უსტინოვი გახსნილად აცხადებს საფრანგეთში მოგზაურობიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დაბრუნებისადმი მიძღვნილ მტინგს.

მოსკოვის მუშების სახელით საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულითადად მიესალმა ქარხანა „დინამოს“ მხეხავი **ვ. ა. პეტროვსკი.**

— ჩვენ, დინამოელები, ამბობს იგი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ გავიხილავდით ყოველ ცნობას თქვენი ყოფნის შესახებ საფრანგეთში. ეკითხულობდით ამ მასალებს და გულით გბრობდით ჩვენი მშვენიერი სამშობლოსათვის, ჩვენი საბჭოთა წყობილებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს, მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისათვის. და ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, გულწრფელ მადლობას ვუძღვნით ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დასამყარებლად თანმიმდევრული მტკიცე ბრძოლისათვის. ეს პოლიტიკა დღითიდღე პოულობს სულ უფრო მეტ მომხრეს მთელ მსოფლიოში. და ეს არის, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძეო, თქვენი ფასდაუდებელი დამსახურება.

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეთა საბჭოს სახელით გამოდის ლენინის რაიონის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ბრიგადირი **ზ. ა. კაპუსტინა.**

— ჩვენ, კოლმეურნეები, ამბობს ზ. ა. კაპუსტინა, რომელიც მიმართავს ნ. ს. ხრუშჩოვს, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი კომუნისტური პარტიისადმი, თქვენდამი — მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლისადმი უღრმესი მადლობის გრძნობით, მხურვალედ მივესალმებით საფრანგეთში თქვენი ვიზიტის შესანიშნავ შედეგებს.

ზ. ა. კაპუსტინა ამბობს, რომ უკვე 17 წელია ბრიგადირად მუშაობს და არ ახსოვს ასეთი, ჭეშმარიტად დიადი აღმავლობა, რომლითაც ახლა კოლმეურნეები შრომობენ. ჩვენი არტელის წევრები, აცხადებს იგი, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კიდევ მეტი ხორცი, რძე და ბოსტნეული მიაწოდონ ჩვენს საყვარელ დედაქალაქ მოსკოვს, შვიდწლედის მეორე წელი აღნიშნონ დიდ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებით. ეს იქნება ჩვენი მცირედი წვლილი მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

დღეს მთელი გულით მინდა ვთქვა — დიე როგორც გაზაფხულზე ბუნება, ისე გაიფურჩქნოს ხალხთა მძლავრი მოძრაობა მშვიდობისათვის.

სიტყვა ეძლევა მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნების საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერს **ა. ა. ფედოროვს,** რომელიც საბჭოთა დედაქალაქის ინტელიგენციის სახელით გამოდის.

იგი ამბობს, რომ მას, როგორც საფრანგეთში წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეს, განსაკუთრებით კარგად ახსოვს მეორე მსოფლიო ომის წლები, როცა საბჭოთა და ფრანგი ხალხები მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის — ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. და ახლა, როცა გერმანელმა რევანშისტებმა კვლავ წამოიყვეს თავი, როცა ყანცლერი ადენაუერი იმეორებს ჰიტლერის ბოდვას გერმანელი ერის განსაკუთრებული მისიის შესახებ, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცება დიდ როლს შეასრულებს ევროპის მშვიდობისათვის ბრძოლაში, აცხადებს ამხ. ფედოროვი.

გამოდის ბამბეულის კომბინატის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ ახალგაზრდა მრთველი **ზ. ე. სემენკოვი.**

ზ. ე. სემენკოვი ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმა მოსკოვის ჰაბუკებისა და ქალიშვილების სახელით და თქვა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა, ასრულებს რა ლენინის ანდერძს, რომ ისწავლოს, იცხოვროს და იმუშაოს კომუნისტურად, წარმატებით ახორციელებს კომენისტური პარტიის მიერ დასახულ გეგმებს.

„ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ ახალგაზრდა მრთველი პირობას აძლევს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ დედაქალაქის ახალგაზრდა მუშები მთელ თავიანთ ენერგიას, მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ იყოს დიადი საბჭოთა ხალხის ღირსეული შვილები, კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

შეკრებილნი მქუხარე ტაშს უკრავენ, როცა ტრიბუნაზე ადის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. ხრუშჩოვი.** იგი ამბობს საფრანგეთში მოგზაურობის შედეგებისადმი მიძღვნილ ვრცელ სიტყვას.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

გენერალ დე გოლს

ვტოვებ რა საფრანგეთის საზღვარს, მინდა ერთხელ კიდევ მოგახსენოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მეგობარ ფრანგ ხალხს გულწრფელი მადლობა იმ განსაკუთრებით გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მოგვიწყეთ მე და ჩემს თანამგზავრებს საფრანგეთში ყოფნის დროს.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი საუბრები თქვენთან, მრავალი შეხვედრა საფრანგეთის სხვადასხვა წრის წარმომადგენლებთან, ფრანგ ხალხთან ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

გისურვებთ, ბატონო პრეზიდენტო, საუკეთესო წარმატებებს, ვუსურვებ აყვავებას დიდ ფრანგ ხალხს.

ნ. ხრუშჩოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

თვითმფრინავი „ილ-18“, 1960 წ. 3 აპრილი.

ბატონ ნიკიტა ხრუშჩოვს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

ძალიან გამახარა თავაზიანი წერილის სიტყვებმა, რომელიც გამომგზავნეთ, როცა საფრანგეთის ფარგლებს ტოვებდით. მეც მიმაჩნია, რომ თქვენს აქ ყოფნასთან დაკავშირებით გამართული ბევრი საუბარი, რომლებმაც ჩემი დიდი ინტერესი გამოიწვია და დიდად მასიამოვნა, უაღრესად სასარგებლო იყო ფრანგი ხალხისა და საბჭოთა ხალხისათვის, რომელნიც გრძნობენ დიდი ხნის მეგობრობას, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის. მახარებს იმის შესაძლებლობა, რომ კვლავ გნახავთ მომავალი თათბირის დროს პარიზში. გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარე, ერწმუნოთ ჩემს კეთილ სურვილებს თქვენი დიადი ქვეყნისადმი და პირადად თქვენდამი.

შარლ დე გოლი

პარიზი, 1960 წლის 3 აპრილი.

ნ. ს. ხრუშჩოვის დაბრუნება საფრანგეთიდან მოსკოვში. ს ურ ა თ ზ ე: შეხვედრა ვნუკოვოს აეროდრომზე.

ფოტო ა. უსტინოვისა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

ჩვენ გვსურს, რომ საზავო ხელშეკრულების დადების, დასავლეთ ბერლინში ვითარების ნორმალიზაციის საკითხი გადაიჭრას ერთობლივად, ყველა იმ ქვეყანასთან შეთანხმებით, რომლებიც ომობდნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ წარსულ ომში.

საბჭოთა კავშირი ცდილობს საზავო ხელშეკრულება დადოს ორ რეალურად არსებულ გერმანულ სახელმწიფოსთან. ასეთი ხელშეკრულების ხელმოწერა ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას, „ცივი ომის“ ლიკვიდაციას, გზას გაუკაფავდა კარგ საქმიან თანამშრომლობას სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური წყობილების ქვეყნებს შორის.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების პრაქტიკულ გამოყენებას.

მაგრამ ამ გზაზე ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეა. ამ სიძნელეებზე არ შეიძლება არ ითქვას. ზოგიერთ მოღვაწეს, მე მხედველობაში მყავს უწინარეს ყოვლისა კანცლერი ადენაუერი, არა სურს საზავო ხელშეკრულების დადება გერმანიასთან და ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ეს საკითხი ვადაიჭრას საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით. ისინი ცდილობენ გერმანიის საკითხი გახადონ „ძალების მოსინჯვის“ ობიექტად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შეტაკებაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს კანცლერმა ადენაუერმა თავისი ღონისძიებანი იმას როდი მოახმარა, რომ მიეღწია საბავო საკითხების გადაჭრისათვის, გზა გაეკაფა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. პირიქით, იგი ცდილობდა დაერაზმა „ცივი ომის“ მომხრეები, შეეკავშირებინა ისინი, რათა არ დაეშვა შეთანხმება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

უფრო გვიან, იაპონიაში ყოფნის დროს, ადენაუერი ასეთივე სულისკვეთებით გამოდიოდა. აი მისი პოზიცია: თუ ნატოს სურს დაამტკიცოს თავისი ძალა, ნუ დაიხევს უკან ნურც ერთი დიუიმით და ნუ დაუშვებს რაიმე ცვლილებებს დასავლეთ ბერლინის ახლანდელ სტატუსში.

მაგრამ ეს უაღრესად საშიში პოზიციაა. ასეთმა მიდგომამ კაცობრიობა შეიძლება მიიყვანოს ომის ზღვარზე, და ჩვენ მოვალენი ვართ გავაფრთხილოთ ამის შესახებ ყველა ადამიანი, ვინც დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებით. ამგვარი პოზიცია რომ უტირავს, კანცლერი ადენაუერი ცუდ სამსახურს უწევს დასავლეთ გერმანიასაც კი. იგი დიდ ზიანს აყენებს ყველა ხალხს, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თუ ბატონი კანცლერი არ შეცვლის თავის პოლიტიკას, თუ იგი ჯიუტობას გამოიჩენს თავისი ახლანდელი კურსის განხორციელებაში, ცხოვრება გადმოაყირავებს მას, იმიტომ, რომ ცოცხალს სიცოცხლე სურს. ადამიანებს სურთ ნორმალური, მშვიდობიანი ცხოვრება. მისი უზრუნველყოფა კი შეიძლება მხოლოდ განიარაღების საკითხის გადაჭრის გზით, ორ გერმანულ სახელმწიფოსთან საზავო ხელშეკრულების დადების გზით.

ამიტომ ჩვენ პირდაპირ ვუცხადებთ კანცლერ ადენაუერსა და ყველა იმათ, ვინც ისწრახფვის ხელი შეუშალოს შეთანხმების მიღწევას გერმანიის საზავო ხელშეკრულების შესახებ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამ საკითხის გადასაჭრელად იმ საფუძველზე, რომელიც მისაღები იქნება დასავლეთის სახელმწიფოებისთვისაც. მაგრამ, თუ ჩვენს მეცადინეობას არაფერი არ მოჰყვა საბჭოთა კავშირი საზავო ხელშეკრულებას დადებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირთან ერთად მას ხელს მოაწერს ყველა. ვისაც ესმის, რომ საბჭოთა ევროპის ცენტრში არანორმალური მდგომარეობის ლიკვიდაცია.

ჩვენ აგრეთვე დარწმუნებული ვართ, რომ, კანცლერ ადენაუერის მეცადინეობის მიუხედავად, დასავლეთის სახელმწიფოები ადრე თუ გვიან მივლენ იმავე დასკვნამდე, რა დასკვნამდეც ჩვენ მივედით. თვით ცხოვრება აიძულებს მათ შეიგნონ, რომ საზავო ხელშეკრულების დადება ორ გერმანულ სახელმწიფოსთან ერთადერთი სწორი გადაწყვეტაა, რომელიც უზრუნველყოფს ევროპაში მშვიდობისა და მყუდროების ნორმალურ ვითარებას.

საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხები, რომლებსაც არაერთხელ განუცდიათ გერმანიის აგრესია, პირველ რიგში დაინტერესებული არიან გერმანიის პრობლემის ისეთი გადაწყვეტით, როცა გერმანია აღარ იქნება ომის საფრთხის წყარო, ევროპაში შფოთისა და კონფლიქტების წყარო.

საფრანგეთში ყოფნის დროს, როცა ვხვდებოდით პარლამენტარებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებსა და უბრალო ადამიანებს, ჩვენ კარგად ვიგრძენით ფრანგების განწყობილება. ფრანგი ხალხი სულ უფრო მეტად ხედავს, თუ რის მომასწავებელი იქნებოდა მისი ქვეყნისათვის გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის აღორძინება. ამასთან დაკავშირებით მაგონდება, თუ რა მხურვალე მოწონებით შეხვდნენ პარიზისა და სხვა ქალაქების დარბაზობათა და კრებების მონაწილენი გახსენებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი ერთად უნდა იყონ, რათა არ დაუშვან ახალი აგრესია რევანშისტების მხრივ.

გენერალ დე გოლთან შეხვედრებისა და საუბრების მსვლელობაში ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ არის საფუძველი შემუშავებულ იქნას შეთანხმებული პოზიცია ჩვენს ქვეყნებს შორის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე. კომუნიკეში მოლაპარაკების შესახებ ნათქვამია, რომ შეთანხმებულ საფუძველზე მოლაპარაკების გზით იმ საკითხების მოწესრიგებას, რომლებიც გერმანიას შეეხება, აგრეთვე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და ბერლინის საკითხის მოწესრიგებას, უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს ურთიერთობას საფრანგეთთან. თუ საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი, როგორც ევროპის ორი უდიდესი კონტინენტური სახელმწიფო, გააერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს მშვიდობის მომხრე ყველა სხვა სახელმწიფოსთან, შეიქმნება გადაულახავი ზღუდე ახალი აგრესიისა და ახალი ომისათვის ევროპაში.

საფრანგეთში ჩვენი ყოფნის დროს ზოგი ვინმე დასავლეთში ბოროტი მიზნით ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს საბჭოთა კავშირს სურს წაკიდოს საფრანგეთი დასავლეთ გერმანიას, განაწყოს ფრანგები გერმანელთა წინააღმდეგ.

ძნელია კაცმა მოიგონოს უფრო უაზრო ჭორი. თუმცა საბჭოთა ადამიანები ჰიტლერელთაგან დაზარალდნენ უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყნების ხალხები, მაგრამ ჩვენს პოლიტიკას გერმანიის მიმართ სრულიადაც არ ვაშენებდით და არ ვაშენებთ გერმანელებისადმი მტრობაზე. საბჭოთა ადამიანებისათვის უცხოა გულღვარძლიანობა და შურისმგებლობა. ჩვენ გვსურს მეგობრობა გერმანელებთან. ჩვენ გულწრფელი მეგობრობის ურთიერთობა დავამყარეთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ და განვავითარებთ ამ ურთიერთობას.

ამასთან ერთად საბჭოთა კავშირს სურს ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა იქონიოს აგრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ჩვენ არ გვაინტერესებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარგი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან, კერძოდ, საფრანგეთთან. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დასავლეთ გერმანიის ნამდვილი მეგობრული ურთიერთობა ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შესაძლებელია მხოლოდ ევრონაბიჯი, რომელიც განთავისუფლებული იქნება მეორე მსოფლიო ომის ნაშთებისაგან. თუ საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი და ორივე გერმანული სახელმწიფო იმეგობრებენ ერთმანეთს შორის, ევროპაში გაქრება ყოველგვარი შეშფოთებისა და შიშის ნიადაგი.

ჩვენს გამოსვლებში საფრანგეთში მე ვილაპარაკე და მსურს ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირს სურს მეგობრობა საფრანგეთის რესპუბლიკასთან და ამით ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესება. სურს დაახლოება და მეგობრობა საფრანგეთის მეგობრებთან. ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი მეგობრობა საფრანგეთთან ხელს უწყობდეს მისი მეგობრობის განმტკიცებას ჩვენს მეგობრებთან.

ამხანაგებო! აზრთა გაზიარებამ ცხადყო, რომ როგორც საბჭოთა კავშირი, ისე საფრანგეთი დიდად არიან დაინტერესებული ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებით. როგორც ერთობლივ კომუნიკეშია აღნიშნული, უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ვაჭრობა კეთილსასურველად ვითარდებოდა ორივე ქვეყნის სასარგებლოდ. საქონელბრუნვა ჩვენს ქვეყნებს შორის ექვს უკანასკნელ წელიწადში ხუთჯერ და მეტად გადიდდა.

პრეზიდენტ დე გოლთან მოლაპარაკების მსვლელობაში შესაძლებლად და მიზანშეწონილად აღიარებულ იქნა არსებითად გადიდდეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ვაჭრობა. ამ მიზნით გადაწყდა მომდინარე წელს გაიმართოს მოლაპარაკება იმისათვის, რომ დაწესდეს საქონელბრუნვის მოცულობა უახლოესი ხუთი წლისათვის, ესე იგი 1965 წლამდე. ასეთი შეთანხმება კარგ პერსპექტივას სახავს ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებისათვის.

პრეზიდენტთან საუბრებში ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის საგაჭრო ურთიერთობის განვითარება მომასწავებელი იქნებოდა კარგი, სტაბილური ბაზრის შექმნისა საფრანგეთის პროდუქციის გასაღებისათვის. ჩვენთვისაც საფრანგეთში შესაყიდები გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს. ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რომ პრეზიდენტმა და საფრანგეთის მთავრობამ გამოიჩინეს დიდი დაინტერესება ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებით, რაც აისახა ერთობლივ კომუნიკეში.

შეხვედრებმა და საუბრებმა საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან სავაჭრო პალატაში და მსხვილი ფირმების მფლობელებთან ცხადყო, რომ საფრანგეთის ბევრ საქმიან ადამიანს ესმის საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის დიდი ძნიშვნელობა და ესწრაფვის მის გაფართოებას. ბევრმა ფირმამ სავაჭრო ურთიერთობის განხილვის მსვლელობაში წამოაყენა მთელი რიგი საინტერესო პრაქტიკული დებულებანი. მათ იციან, რომ ჩვენს ქვეყანას ამჟამად აქვს საქონელი და ნედლეული, რომლებიც საფრანგეთს სჭირდება. თავის მხრივ საფრანგეთს აქვს საქონელი, რომლითაც დაინტერესებული ვართ, აგრეთვე აქვს თავისუფალი სამრეწველო სიმძლავრენი საბჭოთა კავშირის შეკვეთების შესასრულებლად. განსაკუთრებით ეს შეეხება გემთსაშენებლო და მანქანათსაშენებლო ქარხნებს. ჩვენ, მაგალითად, შეგვიძლია გადავცეთ გემების აგება. ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის მოწყობილობის შეკვეთები.

გავეცანით რა ლაკის ბუნებრივი გაზის გადასამუშავებელ უდიდეს ქარხანას, რენოს საავტომობილო ქარხანას, ბუსაკისა და პრუვოს საფეიქრო საწარმოებს, ბევრი საინტერესო რამ შევიტყეთ საფრანგეთის მრეწველობის განვითარების დარგში.

ჩვენ ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებდით და ვანიჭებთ სახელმწიფოთა ეკონომიურ ურთიერთობას, რადგან იგი წარმოადგენს უკეთესი ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფის მტკიცე საფუძველს ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის. იქ, სადაც ვითარდება ეკონომიური ურთიერთობა, სადაც ფართოვდება თანამშრომლობა ურთიერთსარგებლობის საფუძველზე, იქ კონკრეტულ გამოვლინებას ჰპოვებს ხალხთა ნება, მთავრობათა მისწრაფება მშვიდობისადმი, მშვიდობიანი თანაარსებობისადმი. ეს არის მშვიდობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

გენერალ დე გოლთან მოლაპარაკების დროს შევეხეთ კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებს, რომლებსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთგაგების გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივაც უკანასკნელ დროს არის გარკვეული ძვრანი, თუმცა შესაძლებლობებს, რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ ვიყენებთ.

პარიზში ხელმოწერილი ოქმი სსრ კავშირისა და საფრანგეთის კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მეცნიერების პროგრესს ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობის ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია, მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და საფრანგეთის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ორგანიზაციები და დაწესებულებანი შეიმუშავებენ და განახორციელებენ გაცვლისა და მეცნიერული თანამშრომლობის პროგრამებს.

ჩვენი ქვეყნის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ატომური ენერგიის გამოყენების მთავარმა სამმართველომ და საფრანგეთის ატომური ენერგიის საკითხთა კომისარიატმა დადეს შეთანხმება, რომლითაც განსაზღვრულია 1960-1961 წლებში ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში მეცნიერული თანამშრომლობის პირობები. ეს არის საბჭოთა კავშირის პირველი შეთანხმება დიდ არასოციალისტურ ქვეყანასთან თანამშრომლობაზე მეცნიერული პროგრესის ესოდენ დიდმნიშვნელოვან დარგში. ჩვენ ამ შეთანხმებას ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას და მიგვაჩნია, რომ თანამშრომლობა ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში ძვირფასი იქნება როგორც ჩვენთვის, ისე საფრანგეთისათვის. რადგან როგორც ერთ ისე მეორე მხარეს შეძენილი აქვს დიდი გამოცდილება, რომელიც შეიძლება ურთიერთსასარგებლო აღმოჩნდეს.

ჩვენი ქვეყანაც და საფრანგეთიც დიდი ქვეყნებია, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს და შეაქვთ მთელი კაცობრიობის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. მათი კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ხალხების, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მეგობრობის განმტკიცებას, დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცებას.

თავის ვალდებულებათა ერთგული საბჭოთა კავშირი ყოველ ღონისძიებას მიიღებს იმისათვის, რომ ჩვენი ეკონომიური, კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა დღითიდღე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ახლა გაგიზიაროთ საფრანგეთის სხვადასხვა რაიონის ნახვის უშუალო შთაბეჭდილებანი. ჩვენ ხომ, როგორც იცით, დროს ამაოდ არ ვკარგავდით და ხშირად ერთ დღეში გვიხდებოდა რამდენიმე ქალაქში ყოფნა. ფაქტიურად ორჯერ გადავიარეთ მთელი საფრანგეთი — მარსელიდან სამხრეთში, ლილამდე ჩრდილოეთში, ბორდიდან დასავლეთში, ვერდენამდე აღმოსავლეთში.

საფრანგეთის ბუნების სურათები, რომლებიც ვნახეთ, მახლობელია ჩვენთვის. აღმოსავლეთში ბევრი რამ მოგვაგონებს მოსკოვის ოლქს, სამხრეთი ჰგავს ჩვენს ყირიმს, ხოლო ცენტრის ფართო ველები — უკრაინის მინდვრებს. საფრანგეთში უკვე გაზაფხულია. მინდვრებში მუშაობენ ვლეხები, აყვავებას იწყებენ ბაღები.

მინდა გიამბოთ ასეთი შემთხვევა. მივდიოდით გზაზე, რომლის ორივე მხარეს გაშენებულია შესანიშნავი ვენახები, სადაც გლეხები მუშაობდნენ. ჩვენი მოგზაურობის პროგრამა ცნობილი იყო, და გლეხები ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ გზაზე. ერთ ჯგუფში იდგა ხნიერი გლეხი, რომელსაც ხელში ეჭირა ღვინით სავსე ბოთლი და ჭიქა. როცა მას მივუახლოვდით, ბოთლიდან ღვინო ჩამოასხა და ხელით გვანიშნებდა გავჩერებულიყავით, რათა ფრანგული ჩვეულებისამებრ შეგვესვა ბოთლი ღვინო. ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდებოდით მის მიწვევაზე, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა არ გვქონდა, რადგან ვემორჩილებოდით ოქმს, დრო არ გვქონდა. თუ ამ ადგილებში კვლავ მოვხვდებით, შევივლით, ამ ადგილს არ დავივიწყებთ.

ისეთ დიდ სანავსადგურო ქალაქშიც, როგორიც მარსელია — ეს უდიდესი ნავსადგური ხმელთაშუა ზღვაზე, — და ისეთ პატარა ქალაქებშიც, როგორიც არის პონტი ან ვერდენი, — ყველგან ჩვეულებრივი შრომითი ცხოვრებაა. და ყველგან ჩვენ გვრძნობდით, რომ ფრანგი ხალხი გამსჭვალულია იმავე ფიქრებითა და ზრუნვით, რომლებიც დამახასიათებელია ყველა უბრალო ადამიანისათვის: მათ სურთ იცხოვრონ მშვიდობით, სურთ დარწმუნებული იყონ თავიანთ ხვალინდელ დღეში.

ძნელია გამოვნახოთ სიტყვები, რომ გამოვხატოთ გრძნობები, რომლებსაც ჩვენ განვიცდიდით, როცა ფრანგთა შორის ვიყავით. მათი გულითადობა და გულთბილობა თავს იჩენდა ყველგან, სადაც ვიყავით, ფრანგებს უნდოდათ ეჩვენებინათ ჩვენთვის ყოველივე საუკეთესო, რაც კი აქვთ ეკონომიკის, ტექნიკის, მეცნიერების, კულტურის დარგში. ეს გასაგები მისწრაფებაა.

მე უკვე ვთქვი ჩემს გამოსვლებში, რომ ვიფრინეთ საფრანგეთის თვითმფრინავ „კარაველათი“. ეს კარგი მანქანაა, იგი სავსებით შეესაბამება საავიაციო ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეს. დიჟონში ჩვენ გვიჩვენეს ახალი ელმავლები, რომლებიც შენდება საბჭოთა კავშირის შეკვეთით. ასეთი მანქანები კარგად ატარებენ მატარებლებს ჩვენი ქვეყნის რკინიგზებზე. ქალაქ ფლენში ჩვენ ვნახეთ ახალი საავტომობილო ქარხანა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონით. ქვემო ლანგედოკში გაგვაცნეს მძლავრი საირიგაციო სისტემა, რომელიც იქ შენდება და რომელიც წყლით უზრუნველყოფს საფრანგეთის გვალვიან სამხრეთ ნაწილს.

ფრანგი ხალხი შრომისმოყვარეა, მას აქვს დიდი ტექნიკური გამოცდილება და ტრადიციები, ხოლო მისი მიწა ნაყოფიერია. და თუ ფრანგების ძალა და ენერგია მთლიანად მოხმარდება მშვიდობიანი ამოცანების გადაჭრას, შეიძლება ექვი არ ვიქონიოთ, ოომ ისინი კიდევ უფრო მეტ წარმატებას მოიპოვებენ. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის განვითარებისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი ადამიანური რესურსები, სადღაც ეროვნული საზღვრების ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით, თუ თვითეული ქვეყნის შემოქმედებითი ძალები და მატერიალური შესაძლებლობანი მთლიანად მოხმარდება მშვიდობიან საქმეებს.

მშვიდობისადმი მისწრაფება განსაზღვრავდა ფრანგთა განწყობილებას, რომლებიც ჩვენს შესახვედრად გამოდიოდნენ, და მათი გრძნობები ადვილი გასაგები იყო, თუ გავიხსენებთ, რა ბევრი ომის ქარიშხალს გადაუვლია საფრანგეთის მიწა-წყალზე. ყველგან ეზედავდით ბრძოლებში დაღუპულ ადამიანთა ძეგლებს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ვერდენის ნახვამ, რომლის გარშემო მინდვრები უკავია ვეებერთელა სასაფლაოებს, სადაც ათეულ ათასობით ქვის ჯვარია ჯარისკაცთა საფლავებზე. ეს ჯვრები, ეს საფლავები ფრანგ ხალხს მუდამ მოაგონებს იმას, თუ საიდან მიდიოდნენ მათთან უფრო ხშირად მტრები. და, როგორც ჩანს, ბევრ ფრანგს ესმის, რომ ახლაც არ არის გამორიცხული მთლიანად საფრანგეთისათვის საფრთხე იმ მხრიდან, საიდანაც იგი არაერთგზის მოელინებია მათ მიწა-წყალს.

უფროსი თაობის ადამიანები, რომლებთანაც საუბარი მოგვიხდა, მადლობით იგონებენ იმას, რომ ამ სასაფლაოებზე ფრანგი ჯარისკაცების გვერდით მარადიული ძილით სძინავთ რუს მეომრებს, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის წლებში ფრანგების მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. საფრანგეთში დიდ პატივს სცემენ საბჭოთა ჯარისკაცების ხსოვნას, რომლებიც გამოექცნენ გერმანელთა ტყვეობას და ფრანგ პატრიოტებთან ერთად იბრძოდნენ ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ძვირფასო ამხანაგებო! როგორც იცით, საფრანგეთში პოლიტიკური ცხოვრება ძლიერ დაძაბულია. რამდენადაც ეს არის მკვეთრად მოხაზულ კლასობრივ წინააღმდეგობათა ქვეყანა, იქ ბევრია ძველი და ახალი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან და სხვადასხვანაირად ახდენენ გავლენას საზოგადოებრიობაზე. მოსალოდნელი იყო, რომ საბჭოთა კავშირისადმი ამა თუ იმ პარტიისა და მისი ხელმძღვანელების დამოკიდებულების მიხედვით, საფრანგეთის ამა თუ იმ რაიონში მათი გავლენის მიხედვით დამოკიდებულება ჩვენდამი მკვეთრად უნდა შეცვლილიყო. მაგრამ თუ ასე ვიმსჯელებთ, შეცდომა იქნება და მივალთ არასწორ დასკვნამდე. სინამდვილეში საქმე სხვანაირად იყო.

ავიღოთ, მაგალითად, მარსელი. ეს არის საფრანგეთის უძველესი სამრეწველო და სანავსადგურო ქალაქი. აქ ხმების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც მუნიციპალურ არჩევნებში მიიღო, პირველ ადგილზეა კომუნისტური პარტია. მაგრამ ბევრი მარსელელი ხმას აძლევს სოციალისტებსა და მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებსაც. იქ ქალაქის მერია სოციალისტი დეფერი. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს გარემოება გარკვეულ ნიშანს დაასვამდა შეხვედრის ხასიათს, რომელიც ჩვენ მოგვიწყეს. მაგრამ სინამდვილეში ქალაქის მოსახლეობამაც, მისმა ხელისუფლებამაც ერთსულოვნად გამოიჩინეს განსაკუთრებით მეგობრული და გულითადი დამოკიდებულება ჩვენდამი. ამაში თავს იჩენდა უეჭველია ყველა რეალისტურად მოაზროვნე ფრანგისათვის საერთო დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, მშვიდობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. განიარაღებისათვის ბრძოლაში ჩვენი სახელმწიფოს როლისა და ავტორიტეტის აღიარება.

ამ მხრივ აგრეთვე საგულისხმოა ჩვენი ყოფნა ქალაქ ბორდოში, სადაც მერად არის დე გოლის პარტიის წევრი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ბატონი შაბანდელმასი. იგი ამას წინათ ჩამოვიდა სსრ კავშირში საფრანგეთის საპარლამენტო დელეგაციის მეთაურად. ჩვენ ვესაუბრეთ მას მოსკოვში და იგი ხუმრობით იმუქრებოდა, რომ „ქალაქი ბორდო „შურს იძიებდა“ სტუმართმოყვარეობის გამო, რომელიც ბორდოს მერს საბჭოთა კავშირში გაუწიეს. უნდა ვთქვა, რომ ბატონმა შაბანდელმასმა თავისი სიტყვა შეასრულა: ჩვენ მეტად გულთბილად, მეგობრულად მიგვიღეს ბორდოში, — ეს კარგი „შურისძიება“ იყო.

ვსარგებლობ შემთხვევით, და მინდა ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ქალაქების ყველა მერსა და მუნიციპალიტეტების წევრებს, რომლებმაც ჩვენ მიგვიღეს. პრეფექტებს — მთავრობის წარმომადგენლებს დეპარტამენტებში, მინისტრებს, რომლებიც გვაჯილდნენ, მათი ყურადღებისა და ზრუნვისათვის ჩემდამი და ამხანაგებისადმი, რომლებიც მახლდნენ საფრანგეთში მოგზაურობის დროს.

შეიძლებოდა დიდხანს ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ გვხვდებოდნენ საფრანგეთის ქალაქებსა და სოფლებში. თუ ანგარიშში არ მივიღებთ „ცივი ომის“ თითო-ოროლა გამოუსწორებელ დამცველს, რომლებსაც თავიანთი თავი ვერ დაუძლევიათ და განაგრძობენ ძველ დუდუკზე მღერას, შეიძლება სრული საფუძველით ითქვას, რომ ფრანგი ხალხი ერთსულოვნად მიესალმებოდა საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს, როგორც თავის მეგობრებს. ადამიანურად ეს ძლიერ გვაღელვებდა, იწვევდა სამშობლოსათვის, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოსათვის სიამაყის გრძნობას. ჩვენ ვეუბნებოდით ფრანგებს, რომ გადავცემთ საბჭოთა ხალხს მათ მიერ გამოთქმულ გულითად მეგობრულ გრძნობებს, და მე ახლა ამას ვშვრები დიდი კმაყოფილებით.

ვფიქრობდი კიდევ ერთ რამეზე: ლენინური საქმის, ლენინური იდეების სიდიადეზე. რომელთა განხორციელებამ აღამაღლა ჩვენი სამშობლო, აიყვანა იგი ესოდენ მწვერვალებზე. მოკრძალებით დავდიოდით პატარა უბრალო ბინის ოთახებში პარიზში. ამ ბინაში 1909-1912 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა ემიგრაციაში მყოფი ვლადიმერ ილიას-ძე. აქ მზრუნველობით შეგროვებულია დოკუმენტები, რომლებიც მოგვაგონებენ იმას, თუ იმ წლების რა უძნელეს ვითარებაში აგროვებდა რევოლუციურ ძალებს მომავალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის დიდი ლენინი — რკინის ნებისა და რწმენის ადამიანი.

მაგრად ჩამოვართვით ხელი ამხანაგებს ტორეზს, დიუკლოსა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელებს, რომლებიც ამ ბინაში შეგვხვდნენ, და მადლობა გადავუხადეთ იმ ღრმა სახსოვარი ადგილებისათვის ზრუნვის გამო, რომლებიც დაკავშირებულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებასთან. ამ სახლთან, რომელიც ძვირფასია ყოველი ლენინელისათვის, მრავალი ათასი პარიზელი მხურვალედ აცხადებდა ლოზუნგებს საბჭოთა კავშირის პატივსაცემად, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეგობრობის პატივსაცემად, ყველა ხალხს შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის.

22 აპრილს ჩვენ აღვნიშნავთ ილიჩის დაბადების 90 წლისთავს. კომუნისტური იდეების ტრიუმფი — აი მისადმი დიდი საჩუქარი მადლიერი კაცობრიობისაგან.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ ფრანგებს ვხვდებოდით არა მარტო ქალაქების ქუჩებსა და ქარხნების საამქროებში და ვესაუბრებოდით არა მარტო ოფიციალურ ხელისუფალთა წარმომადგენლებს. მე უკვე ვთქვი, რომ შესაძლებლობა გვქონდა გვესაუბრა სულ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ჩვენ შევხვდით საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის საპარლამენტო ჯგუფს, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების დელეგაციას, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ფრანგ მოღვაწეებს, საფრანგეთის მამაცი მუშათა კლასის წარმომადგენლებს — პროფკავშირული მოძრაობის აქტივისტებს.

მე განსაკუთრებით დამამახსოვრდა შეხვედრა პროფკავშირულ მოღვაწეებთან. იგი დამამახსოვრდა კიდევ იმიტომაც, რომ არ შემეძლო არ შემედარებინა იმ საუბრისათვის, რომელიც მომიხდა სან-ფრანცისკოში ამერიკის პროფკავშირთა ზოგიერთ ლიდერთან. როგორც დავინახეთ, საფრანგეთში პროფკავშირთა მოღვაწეებისათვის უფრო მახლობელი და უფრო გასაგებია მუშა ადამიანის ფიქრები და ძირეული ინტერესები. საინტერესოა ლაპარაკი ასეთ ადამიანებთან, მათთან ადვილია საერთო ენის გამონახვა.

საფრანგეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ესმით ჩვენი, ისინი აფასებენ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, სურთ მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, რათა იბრძოლონ მშვიდობისათვის, ეკონომიური, კულტურული, მეცნიერული ურთიერთობის განვითარებისათვის, ყველა ხალხის ერთმანეთს შორის დაახლოებისათვის.

ამხანაგებო! ამავე დროს სწორი არ იქნებოდა არ დაგვენახა, რომ საფრანგეთში არიან ძალები, რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგებიან ფრანგი ხალხის მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს. ეს ძალები მზად არიან ნაღმები ჩაუწყონ მშვიდობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეს და შეინარჩუნონ „ცივი ომის“ მდგომარეობა. ისინი, რა თქმა უნდა, იძულებული არიან რამდენადმე გაუწიონ ანგარიში ფრანგი ხალხის უმრავლესობის ნებას და ამიტომ დროებით რამდენადმე მაყუჩდნენ. მათი ხმები იხმობოდა საფრანგეთის უბრალო ადამიანთა საერთო მისწრაფებაში ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის მეგობრობისადმი, დედამიწაზე მშვიდობის დამყარებისადმი.

მაგრამ თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა მათ როდი შეუწყვეტიათ. მოვიყვან რამდენიმე ფაქტს.

მარსელში ჩვენი ჩასვლის წინადღეს ზურგში დანის ჩაცემით საეჭვოდ მოკლეს ერთი პროფკავშირული აქტივისტი, როცა იგი სახლების კედლებზე აკრავდა პლაკატს „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენთან, ხრუშჩოვ“. ვერაგულად მოკლული პროფკავშირული მოღვაწის დაკრძალვა გადაიქცა მარსელელთა მძლავრ დემონსტრაციად, რომლებმაც ამკაცრად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება პროვოკატორებისა და კაცისმკვლელებისადმი.

ამრიგად, ჩვენ საღად უნდა განვსაჯოთ და კარგად შევიგნოთ, რომ დაპირისპირებულ კლასებად დაყოფილ სახელმწიფოში, როგორიც არის საფრანგეთი, არ შეიძლება არ იყოს რეაქციული, პროფაშისტური ძალები. ეს

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ხის ერთმა დიპლომატმა, რომ ჰიტლერი ამზადებდა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც საფრანგეთი ოკუპირებული უნდა ყოფილიყო 25 წლის მანძილზე. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გამოვთქვა ჩვენი მადლობა იმ პირველხარისხოვანი როლისათვის, რომელიც თქვენმა არმიებმა შეასრულეს საბოლოო გამარჯვების საქმეში".

შესანიშნავი, ამაღელვებელი სიტყვებია. ეს სიტყვები შეიძლება დაწეროს მხოლოდ ისეთმა ადამიანმა, რომლისთვისაც ძვირფასია ადამიანთა მშვიდობა და ბედნიერება, ძვირფასია საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის დიდი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა.

მე იმედი მქონდა, რომ შევხვდებოდი კანონიკ კირს და ხელს ჩამოვართმევდი ამ კეთილშობილ ადამიანს. მაგრამ ძალებმა, რომლებსაც არ მოსწონთ ჩვენი ხალხების კეთილი და მეგობრული ურთიერთობა, ხელი შეუშალეს შეხვედრას. ეს ძალები საფრანგეთს გარეთ აღმოჩნდნენ. ვატიკანიდან მიღებული ბრძანებით კანონიკ კირს ეკრძალა ხრუშჩოვთან, როგორც კომუნისტთან, შეხვედრა. დიჟონში ჩვენი ჩასვლის წინ იგი ქალაქიდან წაიყვანეს და მე მისი სახელით მომესალმა მერის მოადგილე. და თუმცა ფელიქს კირი ფიზიკურად იქ არ ყოფილა, მაგრამ სულიერად ჩვენთან იყო, ყველა იმათთან, ვინც, რეაქციის ბოროტი და ბნელი ძალების მიუხედავად, მამაცურად იბრძვის მშვიდობისათვის, ყველა ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

დიჟონში რომ ჩავედით, ღრუბლიანი დღე იყო. მაგრამ აუარებელი ხალხი გვხვდებოდა. როგორც მერის მოადგილემ განაცხადა, ქალაქის მთელი მოსახლეობა გამოვიდა ქუჩაში. და მართლაც, ჩვენ ვგრძნობთ გულითადი, მეგობრული მოპყრობა. ჩვენ ვგრძნობდით დიჟონელთა გულწრფელობასა და მხურვალე სიყვარულს მშვიდობისადმი, ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობისადმი. ათასობით ადამიანი გაიძახოდა: „ხრუშჩოვ, გაათავისუფლე კირი!"

მაგრამ, რა თქმა უნდა, თქვენ გესმით, რომ თუმცა ჩვენი სიმპათია კანონიკ ფელიქს კირის მხარეზე იყო, მაგრამ ჩვენ საფრანგეთის საშინაო საქმეებში ვერ ჩავერეოდით. მე ფელიქს კირს გავუგზავნე მისალმება, რომელშიც მწუხარება გამოვთქვი. რომ ვერ შევხვდი მას, და გულში გადავეხვიე საფრანგეთის მამაც პატრიოტსა და საბჭოთა კავშირის მეგობარს.

ამხანაგებო! მინდა გიამბოთ საფრანგეთის პრეზიდენტთან გენერალ დე გოლთან შეხვედრებსა და საუბრებზე. პარიზშიც და პრეზიდენტის ქალაქგარეთა რეზიდენცია რამბუიეშიც ჩვენ მოლაპარაკება გვქონდა მაგიდასთან მსხდომთ, ვსაუბრობდით გასეირნების დროს. ეს გულახდილი, კარგი საუბრები იყო; ეს საუბრები გულთბილი, მე ვიტყოდი, მეგობრული იყო.

საფრანგეთში ჩემი გამგზავრების წინ დასავლეთის ქვეყნების პრესაში ბევრი სხვადასხვა წინასწარმეტყველება გამოქვეყნდა. ზოგნი ყვავ-ყორანივით ჩხაოდნენ რომ მე გენერალ დე გოლთან ლაპარაკს ვერ მოვაწყობდი, რომ ჩვენ სხვადასხვა ხასიათის ადამიანები ვართ, რომ წავიჩხუბებდით. ბევრ ჭორს თხზავდნენ.

ერთი ბურჟუაზიული ჟურნალისტი წერდა, მინდა მოლაპარაკების დროს ვიჯდე მაგიდის ქვეშ და გავხაო იმის მოსმენით, თუ ისინი ერთმანეთს როგორ წაეჩხუბებიანო.

მე კმაყოფილი ვარ, რომ ეს ჟურნალისტი არ იჯდა მაგიდის ქვეშ ჩვენი მოლაპარაკების დროს. ის რომ იქ მჯდარიყო, ამ ქვეყანას ერთი ადამიანი დააკლდებოდა, რადგან გული გაუსკდებოდა სიბრაზით, როცა ჩვენს მშვიდობიან საუბარს გაიგონებდა. რატომ უნდა დაიკარგოს ადამიანი? მაინც უნდა გეწამდეს, რომ ადამიანი, თუნდაც უაღრესად ცუდ მიდრეკილებათა მქონე, შეიძლება გამოსწორდეს, განთავისუფლდეს ცუდი ჩვეულებებისაგან. მოიკრიფოს ჭკუა-გონება და ბოლოს და ბოლოს ყველა კეთილი ადამიანის კვალზე იაროს.

გენერალ დე გოლთან მოლაპარაკებისა და საუბრების დროს ჩვენ ერთსულოვნად მივედით იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის განვითარება მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით და მათ შორის უკეთესი ურთიერთგაგების დამყარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

ჩვენ ვთხოვეთ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გენერალ დე გოლს ეწვიოს ჩვენს ქვეყანას სახელმწიფო ვიზიტით. პრეზიდენტი, როგორც მან თქვა, სიამოვნებით დათანხმდა ამ მოწვევაზე. ჩვენ გვიხარია ეს, რადგან გენერალ დე გოლის ვიზიტი საბჭოთა კავშირში შესაძლებლობას მოგვცემს განვაგრძოთ ჩვენი სასარგებლო შეხვედრები და საუბრები.

მე ვუთხარი გენერალ დე გოლს, რომ, როცა იგი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვა, იგრძნობს, რომ საბჭოთა ხალხმა იცის კეთილი მოპყრობის დაფასება, იცის სრულად ანაზღაურება, მეგობრობის პასუხად მეგობრობის გაწევა. დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვისა და სხვა ქალაქების მცხოვრებნი, რომლებსაც საფრანგეთის პრეზიდენტი ეწვევა, მეგობრულად, გულითადად მიიღებენ მას, როგორც ეს შეეფერება ჩვენს პატივისცემას დიდი საფრანგეთის პრეზიდენტისადმი.

პარიზსა და სხვა ქალაქებში ყოფნის დროს ჩვენ მოვიწვიეთ საფრანგეთის მთელი რიგი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები საბჭოთა კავშირში. ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ ისინი ჩამოვლენ ჩვენს ქვეყანაში. ასეთი ვიზიტები და კონტაქტები ძალიან სასარგებლოა. რაც უფრო მეტი იქნება შეხვედრები, საუბრები, დისპუტები, მით უფრო კარგად გავიცნობთ ერთმეორეს, განვამტკიცებთ მშვიდობასა და მეგობრობას.

ჩემი ვიზიტის წინ, აგრეთვე საფრანგეთში ყოფნის დროს ბევრი წერილი და დეპეშა მივიღე. რომლებშიც საბჭოთა ადამიანები მისურვებდნენ წარმატებებს მოგზაურობაში, მთხოვდნენ გადამეცა ფრანგი ხალხისათვის გულწრფელი სალამი და იმის სურვილი, რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის მეგობრობა მტკიცდებოდეს მშვიდობის ინტერესებისათვის. გულითად მადლობას ვუძღვნი ყველა ამხანაგს, რომლებმაც ეს წერილები და დეპეშები გამომიგზავნეს. ხალისით გადავეცი საბჭოთა ადამიანების მხურვალე სალამი ფრანგ ხალხს.

ძვირფასო ამხანაგო მოსკოველებო! აი ჩვენი ანგარიში საფრანგეთში გაწეული მუშაობის შესახებ, გენერალ დე გოლთან შეხვედრებისა და მოლაპარაკების შესახებ. ფრანგ ხალხთან შეხვედრების შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, ეს ისტორიის მანძილზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის პირველი ვიზიტი იყო საფრანგეთის რესპუბლიკაში. მთავრობათა და სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრებსა და საუბრებს, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს ხდება, დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, პოლიტიკური ჰავის გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელიც 16 მაისს მოხდება პარიზში. ჩვენი მოგზაურობა საფრანგეთში, გენერალ დე გოლთან მოლაპარაკება ხელს შეუწყობს ამას, რომ ამ შეხვედრის დროს ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა ერთობლივი თვალსაზრისი შეიმუშაონ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე.

მსოფლიოში ბევრი რთული და ძნელი სადავო პრობლემა დაგროვდა. სახელმწიფოთა ურთიერთობა ომისშემდგომი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დაძაბული ხდებოდა და მწვავდებოდა. იყო დრო, როცა ეს ურთიერთობა ფეხზე შეყენებულ ჩახმახს მოგვაგონებდა. მაგრამ ახლა ხომ ჟბრალო შაშხანისა და პისტოლეტის დრო არ არის. ახლა მძლავრი რაკეტებით, ატომური და წყალბადის იარაღით არიან აღჭურვილი დიდ სახელმწიფოთა არმიები.

არ შეიძლება დავუშვათ, რომ ალაპარაკდნენ ზარაზენები, — საჭიროა მსოფლიოში გონების ხმამ გაიმარჯვოს. ამისათვის საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა ხალხი არ დაიშურებენ არავითარ ღონისძიებას. ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება ძალები, მოთმინება, შეუპოვრობა და დავუმტკიცებთ მსოფლიოს ყველა ადამიანს, რომ მშვიდობამ და ბედნიერებამ შეიძლება გაიმარჯვოს და კიდევაც უნდა გაიმარჯვოს ჩვენს საუკუნეში.

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხებს შორის!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში! „ვივ ლა პე!".

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით).

* * *

ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** გამოსვლას მთელი ჩვენი ქვეყანა ისმენდა რადიოთი. მიტინგი გადაცემულ იქნა ტელევიზიით. ეს შესანიშნავი შეხვედრა საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ერთხელ კიდევ მოწმობდა იმას, რომ საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონეენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ყველა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება და გაფართოება. (საკდესი).

საადილი ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად

რამბუიე, 2 აპრილი. (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტის ქალაქგარეთა რეზიდენციაში — რამბუიეში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალმა დე გოლმა დღეს საღამოს საადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი და საბჭოთა მთავრობის მეთაურის სხვა თანმხლები პირები.

საფრანგეთის მხრივ სადილზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი მ. დებრე, საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში მორის დეჟანი, აგრეთვე სხვა ოფიციალური პირები.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია

რამბუიე, 2 აპრილი. (საკდესი). დღეს საფრანგეთში სახელმწიფო ვიზიტით მყოფმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა პრეს-კონფერენცია გამართა.

პრეს-კონფერენციის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე რამბუიეს „პატენტორის" დარბაზში შეიკრიბა 800-ზე მეტი ჟურნალისტი, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიოს პრესას, ტელევიზიას, რადიოს, აგრეთვე მოწვეული პირები.

დარბაზი და სცენა მორთულია საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ალმებით. რამპის გასწვრივ ცოცხალი ყვავილებია. კინოოპერატორებმა, ფოტოგრაფებმა, ტელევიზიის ოპერატორებმა უკვე დაიკავეს პოზიციები. სცენისაკენ მიმართეს ობიექტივები პრეს-კონფერენციის დაწყების მოლოდინში. ამ პრეს-კონფერენციამ საფრანგეთის საზოგადოებრიობისა და პრესის უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

გარდა ჟურნალისტებისა დარბაზში არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, ოფიციალური პირები.

17 საათს და 30 წუთზე ადგილობრივი დროით გამოჩნდა ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც ყველა დამსწრე ტაშით შეხვდა. მასთან ერთად მაგიდასთან ადგილები დაიკავეს ა. ნ. კოსიგინმა, ა. ა. გრომიკომ და ნ. ს. ხრუშჩოვის სხვა თანმხლებმა პირებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვმა.

პრეს-კონფერენციას რადიოთი და ტელევიზიით გადასცემდნენ მთელ საფრანგეთში და მის ფარგლებს გარეთ.

ა. ა. გრომიკომ განსნა პრეს-კონფერენცია და სიტყვა მოკლე განცხადებისათვის მისცა ნ. ს. ხრუშჩოვს.

თავის მოკლე განცხადებაში ნ. ს. ხრუშჩოვმა კმაყოფილება გამოთქვა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან დე გოლთან და საფრანგეთის მთავრობის წევრებთან მოლაპარაკების გამო. მან აღნიშნა ის გულთბილი მიღება, რაც მას [illegible] ოჯახის [illegible] ოფიციალურ პირებმა და მთელმა ფრანგმა ხალხმა. ნ. ს. ხრუშჩოვი შეჩერდა ორი ქვეყნის კულტურული, საავაჭრო და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის გაფართოების საკითხებზე და დასასრულ მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ დე გოლსა და ყველა ფრანგს გულითადი მიღებისათვის.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა კითხვებზე. თავის პასუხში საბჭოთა მთავრობის მეთაური შეეხო პრეზიდენტ დე გოლთან შოლაპარაკებას, უმაღლესი დონის თათბირის პერსპექტივებს, განიარაღებისა და ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის პრობლემებს, დასავლეთ ბერლინის პრობლემასა და სხვა საკითხებს. უპასუხა რა ერთ-ერთ კითხვაზე, ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ მან მიიწვია გენერალი დე გოლი საბჭოთა კავშირში და რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ეს მიწვევა მიიღო.

ნ. ს. ხრუშჩოვი: მკლავებდაკაპიწებულებმა ვიმუშაოთ მშვიდობისათვის

სიტყვა საფრანგეთის ტელევიზიით 1960 წლის 2 აპრილს

საღამო მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო!

დღეს, როცა იწურება საფრანგეთში ჩვენი ყოფნის უკანასკნელი საათები, სიამოვნებით ვსარგებლობ მოცემული შესაძლებლობით, რომ გეესაუბროთ თქვენ. თქვენს ქვეყანაში ყოფნის დროს მე დამიგროვდა დიდი შთაბეჭდილებანი, რომლებიც მინდა გაგიზიაროთ.

რასაკვირველია, 11 დღე მცირე ვადაა, რომ კარგად გაიცნო ქვეყანაც და ხალხიც, მაგრამ, როგორც იცით, ჩვენი მოგზაურობის პროგრამა საკმაოდ შინაარსიანი და ვრცელი იყო.

გარდა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზისა, რომლითაც სამართლიანად აღტაცებულია ყველა, ვინც აქ ყოფილა, ჩვენ ვიყავით საფრანგეთის ახალი სამრეწველო რაიონის ცენტრში ბორდოში. ვიყავით საფრანგეთის სამხრეთი ნაწილის უძველეს ქალაქსა და ყველაზე დიდ ნავსადგურ მარსელში, რომელმაც თავისი სახელი მისცა ცნობილ „მარსელიოზას". ჩვენ გავეცანით ომის წლებში საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ცენტრს — ბურგუნდიის გულს დიჟონს, ვიყავით გმირ ქალაქ ვერდენში. ჩვენ დავათვალიერეთ აგრეთვე შამპანის დედაქალაქი რეიმსი, დიდი სამრეწველო ცენტრები, მათ შორის ლაკი სამხრეთში და ლილი ჩრდილოეთში, და საფრანგეთის სხვა ქალაქები და რაიონები, რომელთაგან თვითეულს აქვს თავისი მდიდარი ისტორია და თავისი განსაკუთრებული სილამაზე. თქვენი მიღწევები ახალი, სავსებით თანამედროვე სახელმწიფო საწარმოების მშენებლობაში, ფრანგი ხალხის ტექნიკური გენია — ყოველივე ეს ყოველ პატიოსან ადამიანში იწვევს დიდ პატივისცემასა და მეგობრულ დამოკიდებულებას.

ჩვენ შევხვდით საფრანგეთის უბრალო ადამიანებს, ვესაუბრეთ ძის ხელმძღვანელებს, საქმიანი წრეების, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ჩვეხ ვცდილობდით გვეხახა და გაგვეცნო რაც შეიძლება მეტი. და რამდენადმე მივაღწიეთ ამას. თქვენმა მზარდმა ქალაქებმა, თქვენმა თანამედროვე ქარხნებმა და ფაბრიკებმა, თქვენმა ძდიდარმა მინდვრებმა და საძოვრებმა და, რაც მთავარია, საფრანგეთის ხალხმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩვენზე.

ჩვეულებრივ, როცა ტოვებ ქვეყანას ან ქალაქს, რომელშიც იყავი, მასპინძლები გეკითხებიან: „როგორ მოგეწონათ აქ?". ჩვენც მოგვცეს ასეთი კითხვები. გამოთხოვების წინ მინდა ერთხელ კიდევ გითხრათ: ჩვენ ძალიან მოგვწონა საფრანგეთი და მისი ხალხი.

თქვენ ალბათ გსურთ იცოდეთ, როგორ მიდინარეობდა ოლაპარაკება და საუბრები, რომლებიც პრეზიდენტ დე გოლთან გვქონდა. კმაყოფილი ვარ ჩემი ეეხვედრებით და საუბრებით. ბუეებრივია, რამდენიმე ასეთი შეხვედრისა და საუბრის დროს, თუნდაც ისინი ხანგრძლივი და გულახდილი იყოს, ვერ გაშლი მრავალი რთული და საწინააღმდეგო საკითხების კვანძებს, რომლებიც დაგროვდა მსოფლიოსა და ევროპაში „ცივი ომის" წლებში, საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის წლებში. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ გულხელდაკრეფილნი უნდა ვისხდეთ და ვფიქრობდეთ, რომ ეს კვანძები თავისთავად გაიშლება?! სახელმწიფოთა ხელმძღვანელების პირადი შეხვედრები, რომლებიც ამ ბოლო დროს მოხდა, და პრეზიდენტ დე გოლთან ახლანდელი შეხვედრა საწინააღმდეგოს მოწმობენ. მარტო იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მოღვაწეები გაითვალისწინებენ ხალხთა ურთიერთ ინტერესებს, გადადგამენ ნაბიჯებს ერთმანეთის სურვილის დასაკმაყოფილებლად, შეეცდებიან მიაღწიონ ურთიერთგაგებას, შეიძლება წინ წავწიოთ საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაციის საქმე.

პრეზიდენტთან ჩვენმა შეხვედრებმა ცხადყო, რომ არის შეხების ბევრი წერტილი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების და მათი მოწესრიგების ხერხების შეფასებაში. ჩვენ მივედით საერთო დასკვნამდე, რომ საჭიროა მივაღწიოთ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას. აღიარებულ იქნა, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობაში სადავო პრობლემები უნდა გადაიჭრას მხოლოდ მშვიდობიანი გზით, უმოქმედოდ და ძალის გამოუყენებლად. ხოლო ეს განსაკუთრებით საჭიროა ჩვენს დროში, როცა შექმნილია ომის საშინელი, დამანგრეველი საშუალებანი. ჩვენ აღვნიშნეთ აგრეთვე შეხედულებათა ერთობა ევროპის უშიშროების განმტკიცების ზოგიერთ საკითხში.

ხალხები მოითხოვენ მთავრობებისაგან, რომ მათ უდიდესი მოთმინებით და სიბეჯითით მიაღწიონ უმნიშვნელოვანეს სადავო საკითხებში თვალსაზრისთა თანდათანობით დაახლოებას. ჩვენ ეეთხოვებით პრეზიდენტ დე გოლს, აღსავსენი დიდი იმედით.

აი ასეთი ფიქრებით ვბრუნდებით მოსკოვში. ჩვენ აქ შევიძინეთ ბევრი ახალი კარგი მეგობარი. ჩვენთვის, როგორც თქვენთვის, მე ასე ვფიქრობ, სავსებით ნათელია, რომ საჭიროა მუდმივი კონტაქტები, შეხვედრები და თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის.

არაერთხელ დაუღვრიათ სისხლი ჩვენს ხალხებს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამან, თუ გნებავთ, დაანთესავა ჩვენი ხალხები. მაგრამ უნდა ვუყურებდეთ არა მარტო წარსულს, არამედ უწინარეს ყოვლისა უნდა ვიყურებოდეთ წინ. საჭიროა, მკლავებდაკაპიწებულებმა ვიმუშაოთ მშვიდობისათვის, გავწმინდოთ მშვიდობის გზები, მოვასწოროთ ომით დატოვებული სანგრები და ორმოები, დავამსხვრიოთ უნდობლობისა და სკეპტიციზმის ყინული, მტკიცედ ვიაროთ წინ საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისაკენ.

იმისათვის, რომ ვიცხოვროთ მეგობრობით, უკეთ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს. და კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ საფრანგეთში ახლა ისევე ცოცხლად აინტერესებთ ჩვენი ცხოვრება, როგორც საბჭოთა კავშირში საფრანგეთის ცხოვრება. ბევრმა მთხოვა მეამბნა, როგორ ვცხოვრობთ, ვინ ვიყავით და ვინ გავხდით და როგორ ვაპირებთ მომავალში ცხოვრებას.

ნება მიბოძეთ თუნდაც მოკლედ გიპასუხოთ ამ კითხვებზე.

ჩვენ, უფროსი თაობის ადამიანებმა, ვისი ცხოვრებაც რევოლუციამდელი რუსეთის პირობებში დაიწყო, უკეთ, ვიდრე ვინმემ, ვიცით, როგორი ცხოვრება იყო მაშინ. წარმოიდგინეთ ვეებერთელა, ჭეშმარიტად თვალუწვდენი, ბუნებრივი რუსურსებით მდიდარი ქვეყანა, რომლის ხალხი ძლიერ ღარიბად ცხოვრობდა.

ეკონომიურად მეფის რუსეთი ჩამორჩენილი იყო. მის ბუნებრივ სიმდიდრეებს უცხოელი კაპიტალისტები იტაცებდნენ. მე, იმ დროს რიგითს რუს მუშას, მომიხდა მუშაობა გერმანელი, ბელგიელი, ინგლისელი, ფრანგი კაპიტალისტებისათვის — მათ ეკუთვნოდათ ბევრი მაღარო და ქარხანა დონბასში. და განა მარტო დონბასში იყო ასე?

1917 წლის ოქტომბერში მშრომელმა ხალხმა ლენინისა და მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამყარა შრომელი ხალხის ხელისუფლება, შექმნა მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. მე კარგად მახსოვს ის მღელვარე დღეები. ჩვენ დავამარცხეთ ჩვენი მტრები და დავიწყეთ ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენება. ჩვენ მას ვაშენებდით მარქსის, ენგელსის, ლენინის წინასწარდასახულობებით.

საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება და ცხოვრობს ისე, როგორც მას სურს იცხოვროს. ჩვენს ცხოვრების წესს არავის არ ვახვევთ თავს, მაგრამ არც ის გვინდა, რომ ვინმე ჩაერიოს ჩვენს საქმეებში. როგორც ყოველი ადამიანი, ყოველი ხალხი, რომელმაც ბევრი შრომა და ძალა, ტალანტი და სიმტკიცე მოახმარა თავის საქმეებს, საბჭოთა ადამიანები ამაყობენ ყოველივე იმით, რაც მათ შექმნეს თავიანთ მიწა-წყალზე.

ორმოცი წლის განმავლობაში, რომელთაგან დაახლოებით 20 წელი მოუნდა ჩვენთვის თავმოხვეულ ომებსა და მეურნეობის აღდგენას, ჩვენ ორმოცჯერ გავადიდეთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. ხოლო როგორია ჩვენი პერსპექტივები?

ეე არ მინდა მოვიყვანო ბევრი ციფრი, მაგრამ ამბობენ, რომ ციფრების ენა დამაჯერებელი ენაა.

შვიდწლიანი გეგმით დასახულია ფოლადის წარმოება აყვანილ იქნას 91 მილიონ ტონამდე 1965 წელს, ნავთობის ამოღება 240 მილიონ ტონამდე, ელექტროენერგიის გამომუშავება 520 მილიარდ კილოვატ-საათამდე. მანქანებისა და მოწყობილობის გამომვება გაიზრდება ერთიორად, ხოლო ქიმიური მრეწველობის პროდუქციისა — ერთისამად.

სახალხო მოხმარების საქონლის — კვების პროდუქტების, ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის — წარმოება 1965 წლისათვის გადიდდება 65 პროცენტით. შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირი ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ გამოვა პირველ ადგილზე ევროპაში და უშუალოდ მიუახლოვდება ამერიკის შეერთებული შტატების წარმოების ახლანდელ დონეს. შემდეგ ჩვენ დაგვჭიოლება ხუთი ან იქნებ ნაკლები წელი, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ შეერთებულ შტატებს არა მარტო წარმოების აბსოლუტური მოცულობის მიხედვით, არამედ აგრეთვე ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მიხედვით.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სოციალისტური მექანიზებული სოფლის მეურნეობა, რომლის დაუშრეტელ შესაძლებლობებს მოწმობენ თუნდაც ასეთი ფაქტები: მარტო 1953 წლიდან 1959 წლამდე საბჭოთა კავშირმა მარცვლეულის წარმოება გაადიდა ერთნახევარჯერ და მეტად, ხორცის შესყიდვა ქალაქის მოსახლეობისათვის — ერთიორად და მეტად, რძისა — თითქმის ორნახევარჯერ.

იცით თუ არა თქვენ, რომ რევოლუციამდელ რუსეთში მოსახლეობის თითქმის 80 პროცენტი წერაკითხვის უცოდინარი იყო. ახლა კი საბჭოთა კავშირში ყველა ბავშვი სწავლობს. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის ოთხჯერ მეტი სტუდენტია, ვიდრე ინგლისში. საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიასა და იტალიაში ერთად, ამასთან ჩვენი სტუდენტები არა მარტო უფასოდ სწავლობენ, არამედ აგრეთვე იღებენ სახელმწიფო სტიპენდიას. 106 ათას ინჟინერს წელიწადში — სამჯერ მეტს, ვიდრე შეერთებული შტატები, უშვებენ ჩვენი სასწავლებლები. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა მეცნიერებას ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

ჩვენს ქვეყანას, სადაც რევოლუციამდე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სულ მხოლოდ დაახლოებით 290 ათასი ადამიანი იყო, ახლა დაახლოებით ცამეტმილიონნახევარ ადამიანს აქვს უმაღლესი ან სპეციალური საშუალო განათლება, ხოლო ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სკოლა დაამთავრა 45 მილიონზე მეტმა კაცმა.

საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მატერიალური დონე განუხრელად მაღლდება და მალე ყველაზე მაღალი იქნება მსოფლიოში. აეიღოთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიც არის ბინების პრობლემა. მარტო მიმდინარე შვიდწლედში ჩვენ ავაშენებთ დაახლოებით 15 მილიონ ბინას ქალაქებში და შვიდ მილიონ სახლს სოფელ ადგილებში, ამასთან ბინის ქირა ჩვენში ყველაზე დაბალია მსოფლიოში და შეადგენს ოჯახის ბიუჯეტის მხოლოდ 4-5 პროცენტს.

იქნებ საჭიროა ითქვას იმ ფაქტზეც, რომ წელს ჩვენს ქვეყანაში დამთავრდება მუშებისა და მოსამსახურეების გადასვლა 8 საათის სამუშაო დღიდან 7 საათის სამუშაო დღეზე, ხოლო მეშახტეებისათვის, მეტალურგებისათვის, ქიმიური მრეწველობისა და ზოგიერთი სხვა დარგის მუშაკთათვის — 7 საათის სამუშაო დღიდან 6 საათის სამუშაო დღეზე. 1964 წელს დაიწყება 7 საათის სამუშაო დღიდან 6 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, ხოლო მძიმე ინდუსტრიის მთელი რიგი დარგების მუშები გადავლენ 5 საათის სამუშაო დღეზე. ეს იქნება ალბათ მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე, ამასთან ხელფასი არ შემცირდება, ხოლო ბევრ შემთხვევაში კიდევაც გაიზრდება.

ზოგჯერ სკეპტიკურად განწყობილი ან ცუდად ინფორმირებული ადამიანები ამბობენ: დიახ, თქვენ ბევრ რამეს მიიღწიეთ, მაგრამ რა ფასად? თქვენ თავისუფლება არა გაქვთო, ამტკიცებენ ჩვენი მოწინააღმდეგეები.

მინდა, რომ ასეთმა სკეპტიკოსებმა მიმართონ რიგითს საბჭოთა ადამიანს — მუშას, მაღაზიის გამყიდველს, კოლმეურნეს. ისინი უამბობდნენ, როგორ არის საქმე! ისინი განუმარტავდნენ მათ, რომ ჩვენმა ქვეყანამ შეძლო ჩამორჩენილობიდან ასულიყო სოციალიზმის მწვერვალებზე სწორედ იმის მეოხებით, რომ მისი ადამიანები თავისუფალი და თავიანთი ქვეყნის, თავიანთი ბედის ბატონ-პატრონები არიან.

მართლაც, განა შეეძლოთ არათავისუფალ ადამიანებს ასეთი თავგადაკლილობით და გმირობით ებრძოლათ თავიანთი სოციალისტური სამშობლოსათვის სასტიკ ბრძოლებში სტალინგრადთან და კურსკის რკალზე, ეწარმოებინათ სახალხო ომი მტრის ზურგში, თავდადებით ებრძოლათ ომით დანგრეული ეკონომიკის აღდგენისათვის, მოეპოვებინათ მსოფლიო-ისტორიული წარმატებანი კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში? განა შეეძლო არათავისუფალ ხალხს თავისი ხელით შეექმნა X X საუკუნის დიდი სასწაული — ჯერ თანაბაგზავრი, ხოლო შემდეგ მთვარის რაკეტა, რომელმაც საბჭოთა კავშირის ალმი მთვარეზე მიიტანა. ამ საბჭოთა მთვარის რაკეტამ გადაიღო მთვარის უკანა მხარის ფოტოსურათი. ვინ მიიღწია ყოველივე ამას? „კომუნიზმის მონებმა"? არა, ბატონებო, ეამბობთ ჩვენ. ნუ აცინებთ ადამიანებს!

ჩვენი წარმატებების საიდუმლოება უბრალოა. ამ საიდუმლოებას შეიცავს თვით ბუნება ჩვენი სახალხო სოციალისტური სახელმწიფოსი, რომელიც შეიქმნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მეოხებით.

ჩვენი სახელმწიფო სახალხოა და მოქმედებს ხალხისათვის. აბა შეხედეთ, ვინ მართავს ჩვენში სახელმწიფოს. საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში — ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორ-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

მხურვალე შეხვედრა მოსკოვში

ნ. ს. ხრუშჩოვის საფრანგეთიდან დაბრუნება

დიდი სიხარულისა და ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ მოსკოველები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც საფრანგეთიდან დაბრუნდა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც საფრანგეთში სტუმრად იყო რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალ შარლ დე გოლის მიწვევით, იქ დაჰყო 13 დღე. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა თქვა, რომ „მაყოფილია საფრანგეთში ყოფნით. საბჭოთა მოქალაქეებს გულწრფელად ახარებს ის, რომ ტრადიციული მეგობრობა, რომელიც ორივე ქვეყნის ხალხებს აკავშირებს, ნ. ს. ხრუშჩოვის

მკლავებდაკაპიწებულებმა ვიმუშაოთ მშვიდობისათვის

(დასასრული)

განში, რომელიც არჩეულია 1958 წელს, 1.378 დეპუტატია. მათ შორის 831 მუშა და გლეხია, ამასთან მათი დიდი უმრავლესობა — 614 კაცი — უშუალოდ შრომობს წარმოებაში. უმაღლესი საბჭოს დანარჩენი დეპუტატები არიან მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, ინჟინრები, აგრონომები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები, ექიმები, პედაგოგები.

ზოგჯერ ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ერთი პარტია არსებობს. მაგრამ ასე მსჯელობა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც არ იცნობს საბჭოთა სინამდვილეს, ვინც ცუდად ერკვევა ისეთ ელემენტარულ ცნებებში, როგორიც არის კლასი, პარტია, ხალხი. დავუშვათ ერთი წუთით, რომ ჩვენში გაჩნდა რამდენიმე პარტია. საკითხავია, ვისი წარმომადგენლები იქნებოდნენ, ვის ინტერესებს გამოხატავდნენ ისინი? ყველა პარტია, იქნება იგი დიდი თუ პატარა, უპირველ სივრცეში, ხომ არ არსებობს, არამედ ამა თუ იმ კლასის, ამა თუ იმ კლასობრივი ან სოციალური ფენის წარმომადგენელია და გამოხატავს მათს ინტერესებს. მაგრამ ჩვენში არ არიან ანტაგონისტური კლასები, მაშასადამე, არც ნიადაგია მრავალპარტიულობისათვის. დიახ, ჩვენში მართლაც არსებობს ერთი პარტია — კომუნისტების პარტია, და იგი გამოხატავს მთელი მშრომელი ხალხის ინტერესებს.

საბჭოთა დემოკრატიის ნამდვილ ხასიათს მოწმობს ის ფაქტიც, რომ ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო დიდი როლი ენიჭებათ სახელმწიფოს მართვაში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მრეწველობას მართავენ მოკავშირე რესპუბლიკები და ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები. მთელი რიგი სახელმწიფო ფუნქციები გადაეცათ პროფკავშირებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენში გაუქმდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და მისი ფუნქციებიც ადგილობრივ ორგანოებს გადაეცათ.

საბჭოთა კავშირი, როგორც იცით, მრავალეროვანი სახელმწიფოა. ჩვენს ქვეყანაში ასზე მეტი სხვადასხვა ერი და ეროვნება ცხოვრობს. ბევრი ეს ეროვნება რევოლუციამდე უბადრუკ არსებობას ეწეოდა და ისპობოდა სიღატაკით, შიმშილით და ავადმყოფობით. საბჭოთა ქვეყანამ გამონახა ეროვნული საკითხის ერთადერთი სწორი გადაჭრა. მეფის რუსეთის ბატონობაში მცხოვრებ ხალხთა გაერთიანება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად მოხდა ნებაყოფლობითი პრინციპების მტკიცედ დაცვით.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ყველა ერმა და ეროვნებამ მიიღო რეალური შესაძლებლობა განვითარებინა თავისი ეკონომიკა და ეროვნული კულტურა, ნამდვილად განვითარებინა თავისი უნარი. და მათ თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს.

ნება მიბოძეთ ახლა დასასრულ ძალიან მოკლედ ვილაპარაკო ჩვენი მომავლის გეგმებზე, იმაზე, თუ როგორ ვაპირებთ ვიცხოვროთ მომავალში.

კომუნიზმი კაცობრიობის დიდიხნის ოცნებაა. XIX საუკუნის დიდი ფრანგი მოაზროვნეები ფურიე და სენ-სიმონი გვიხატავდნენ მომავალი კომუნისტური საზოგადოების სურათებს. მაგრამ მათ ეს საზოგადოება წარმოდგენილი ჰქონდათ ბუნდოვან სურათად, როგორც საუცხოო ზღაპარი საყოველთაო თანასწორუფლებიანობის, კეთილდღეობისა და ძმობის შესახებ.

მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა შექმნეს მეცნიერული კომუნიზმის თეორია. და ჩვენს დროში საბჭოთა ადამიანების ნებით და შრომით კომუნიზმი ოცნებიდან იქცევა რეალობად, შედის საბჭოთა ადამიანის ყოფაცხოვრებაში.

ჩვენი ხალხი ახლა შრომობს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესასრულებლად, რომელსაც ჩვენში სამართლიანად უწოდებენ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის გეგმას.

კომუნიზმი თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის ლოზუნგის ნამდვილად რეალური განხორციელებაა. იგი უზრუნველყოფს საზოგადოების საწარმოო ძალების ისეთ განვითარებას, რომელიც შესაძლებელს გახდის განხორციელდეს დიადი პრინციპი — თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით. კომუნიზმი იკრებს წარსულის დიად მემკვიდრეობას, მოწინავე კულტურას, სიბრძნესა და ცოდნას, რომლებიც კაცობრიობამ შეიძინა საუკუნეების მანძილზე. ახალ საზოგადოებას რომ ვაშენებთ, ჩვენ გვინდა, რომ ყველა ადამიანი ცხოვრობდეს მდიდრად, ბედნიერად და ლამაზად, ყოველი ადამიანის ტალანტი ვითარდებოდეს სრულად, რომ მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება გახდეს ყოველი ადამიანის კუთვნილება, რომ შრომა იყოს სასიხარული შემოქმედება ყოველი ადამიანისათვის.

აი ამიტომ კომუნიზმის მშენებლობის გეგმა ითვალისწინებს ლითონის, მანქანების, ნავთობის, ელექტროენერგიის, მარცვლეულის, ხორცის, კარაქის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის წარმოების, ბინების მშენებლობის მნიშვნელოვან გადიდებას, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას.

ჩვენთან ერთად ცხოვრებას გარდაქმნიან ახალ საწყისებზე ევროპისა და აზიის სოციალისტური ქვეყნების ხალხები, რომელთა მოსახლეობა მილიარდ კაცს აღემატება.

იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ ჩვენი გეგმები, ჩვენ გვესაჭიროება მშვიდობა. დასავლეთში ხშირად გაიგონებთ მსჯელობას, თითქოს საბჭოთა კავშირი მოითხოვს მშვიდობას და დაძაბულობის შენელებას საერთაშორისო ურთიერთობაში მხოლოდ იმიტომ, რომ მას ესაჭიროება შესვენება, რომლის განმავლობაში ძალებს მოიკრებს, ხოლო შემდეგ ძალით მოახვევს თავის წესებს სხვა ქვეყნებს. რამდენადაც ამგვარ ჭორებს საფრანგეთშიც ავრცელებენ, ნება მიბოძეთ შევეხო ამ საკითხს.

საბჭოთა კავშირი მშრომელთა სახელმწიფოა, რომლისთვისაც უცხოა მისწრაფება მოგებისა და თავისი სიმდიდრის გადიდებისაკენ ომების, სხვისი ტერიტორიებისა და ნედლეულის წყაროების დაპყრობის დახმარებით. ჩვენი სახელმწიფო თავისი ბუნების გამო ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას.

მინდა მოგაგონოთ ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი, როგორიც არის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პირველ დღესვე მიღებული ლენინური დეკრეტი ზავის შესახებ. საბჭოთა მთავრობა მუდამ იყო ერთგული მშვიდობის პოლიტიკისა, მაგალითად, ვ. ი. ლენინის მიერ შეტანილ და ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „...საბჭოების VII ყრილობა კვლავ ადასტურებს თავის განუხრელ მისწრაფებას მშვიდობისადმი, ერთხელ კიდევ მიმართავს წინადადებით ანტანტის ყველა სახელმწიფოს — ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, იტალიას, იაპონიას, ყველას ერთად და ცალ-ცალკე დაიწყონ დაუყოვნებლივ მოლაპარაკება ზავის შესახებ და ავალებს სრულიად რუსეთის ცაკს, სახკომსაბჭოსა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს სისტემატურად განაგრძონ მშვიდობის პოლიტიკა და მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება მისი წარმატებისათვის“. ორი წლის შემდეგ სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობაზე ლენინმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „რუსეთის მუშები და გლეხები ყველაზე მეტად აფასებენ მშვიდობის სიკეთეს“.

ჩვენ არასოდეს და არავითარ გარემოებაში არ გვიღალატნია ლენინის ნაანდერძევი მშვიდობის პოლიტიკისათვის. და იმათ, ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ჩვენ ვთხოვთ: ჩამოდით ჩვენში, ესტუმრეთ ჩვენს ქვეყანას, და თქვენ თვითონ დაინახავთ, რით ცხოვრობს საბჭოთა ხალხი, რა მისწრაფება ამოძრავებს მას. თქვენ დარწმუნდებით, რომ საბჭოთა ხალხი მშვიდობისმოყვარე ხალხია. მას სურს იცხოვროს მშვიდობით და მეგობრობით ყველა ხალხთან.

გამოხატავს რა თავისი ხალხის ნებას, საბჭოთა მთავრობა განუხრელად ცდილობს მშვიდობიანად გადაჭრას უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები, რომლებზეც ახლა მიპყრობილია მთელი კაცობრიობის ყურადღება: საყოველთაო და სრული განიარაღება, ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა, ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება.

საბჭოთა კავშირი აქტიურად იბრძვის „ცივი ომის“ წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, რომელიც მძიმე ტვირთად აწვევს ხალხის მასებს. გამალებული შეიარაღება განსაკუთრებით საშიშია, რადგან მას — და ამას მოწმობს ისტორიის გამოცდილება — გარდუვალად მოსდევს ომი. მით უფრო საშიშია გამალებული შეიარაღება ჩვენს დროში, როცა შექმნილია მოსპობის საშინელი საშუალებანი — რაკეტულ-ატომური იარაღი. ახლა ომი, თუ მას ბოროტი ძალები დაიწყებენ, მრისხანე უბედურება იქნება ყველა ხალხისათვის, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხალხებისათვის, სადაც მოსახლეობა ძლიერ მჭიდროა და ძლიერ მჭიდროდ არის განლაგებული სამრეწველო საწარმოები.

ახლო მომავალში მოგველის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკება, რომელიც გაიმართება აქ, პარიზში. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ ოთხი სახელმწიფოს — საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეები. მოლაპარაკების დროს განხილულ და გადაჭრილ უნდა იქნას თანამედროვეობის დიდმნიშვნელოვანი და მომწიფებული პრობლემები. ჩვენ გვსურს, რომ უმაღლესი დონის შეხვედრამ დაშალოს მრავალი კვანძი და მოსპოს გზებზე ქვები, რომლებიც დაგროვდა მრავალი წლის „ცივი ომის“ შედეგად. იმედი გვაქვს, რომ ფრანგი ხალხი და საფრანგეთის მთავრობა თავანთ წვლილს შეიტანენ მომავალი მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებაში.

როცა მე ჯერ კიდევ მოსკოვში ვიყავი, აგრეთვე საფრანგეთში ყოფნის დროს ჩემს სახელზე მოვიდა და კვლავ მოდის მრავალი წერილი სახელმწიფო დაწესებულებებისაგან, საწარმოებისაგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, მოსახლეობის ჯგუფებისა და ცალკეული პირებისაგან. მათში გამოხატულია გულთბილი და მეგობრული გრძნობები, გამოთქმულია მხურვალე სურვილი შემდგომ განმტკიცდეს და გაფართოვდეს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური, კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა მშვიდობის ინტერესებისათვის.

ვინაიდან შესაძლებლობა არა მაქვს პირადად ვუპასუხო ყველა ფრანგ მეგობარსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც თავიანთი კეთილი სურვილები გამომიგზავნეს, მინდა ახლა სამშობლოში გამგზავრების წინ გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა ფრანგ ქალსა და მამაკაცს, რომლებმაც გამომიგზავნეს წერილები, დეპეშები, მიწვევა, გულთბილი, გულწრფელი გრძნობების გამოხატვისათვის ჩვენი ქვეყნის ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი და პირადად ჩემდამი.

მინდა ვუსურვო საფრანგეთის პატივცემულ მოქალაქეებს, გისურვოთ თქვენ ყველას, თქვენს ნათესავებსა და მახლობლებს ბედნიერება, აყვავება და მშვიდობა.

ვივ ლა პე! (გაუმარჯოს მშვიდობას!) ნახვამდის!

ნ. ს. ხრუშჩოვი რამბუიედან გამოემგზავრა

პარიზი, 3 აპრილი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დატოვეს რამბუიეს ციხე-დარბაზი, სადაც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გაატარა საფრანგეთში ყოფნის უკანასკნელი დღეები და მოლაპარაკებას აწარმოებდა გენერალ დე გოლთან.

რამბუიედან გამგზავრების წინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალმა დე გოლმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს. რესპუბლიკის პრეზიდენტმა დე გოლმა ნ. ს. ხრუშჩოვი ავტომობილამდე მიაცილა.

ნ. ს. ხრუშჩოვი და გენერალი დე გოლი გულთბილად ეთხოვებიან ერთმანეთს. გენერალი დე გოლი ბედნიერ მგზავრობას უსურვებს ნ. ს. ხრუშჩოვს და ამბობს, რომ ისინი კვლავ მალე შეხვდებიან ერთმანეთს, როცა შეიკრიბება უმაღლესი დონის თათბირი. იგი დასასრულ წარმოთქვამს: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“.

გაცილება ორლის აეროდრომზე

პარიზი, 3 აპრილი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს საფრანგეთის დედაქალაქი გულთბილად აცილებდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს.

...პარიზის ორლის აეროდრომი მორთულია საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ალმებით. თვითმფრინავის გაფრენამდე ჯერ კიდევ დაახლოებით ერთი საათია, მაგრამ აეროდრომზე დიდი გამოცოცხლეებაა. აეროდრომზე ზედიზედ მოდიან ავტომანქანები ოფიციალური პირებით, რომლებიც მოვიდნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის გასაცილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ადრე დილაა, აეროდრომზე შეიკრიბა ბევრი პარიზელი. შათ ხელში უჭირავთ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ალმები და ყვავილების თაიგულები.

პრესის ტრიბუნებზე უკვე დიდი ხანია ადგილები დაიკავეს საფრანგეთისა და უცხოეთის პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და კინოქრონიკის წარმომადგენლებმა. მინდორზე სპეციალურად მდგომ ავტობუსთან, რომელშიც მოწყობილია ტელეფონის კაბინები, შეკრებილან უდიდესი საინფორმაციო სააგენტოების კორესპონდენტები, რომლებიც ჩქარობენ, რომ მთელ მსოფლიოს დაწვრილებით გააცნონ საბჭოთა მთავრობის მეთაურის გაცილების ამბავი.

საპატიო სტუმართა სალონიდან თვითმფრინავამდე დაგებულია წითელი ხალიჩა, რომლის გასწვრივ ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული და ორკესტრი.

11 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით ორლის აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის გასაცილებლად მოვიდნენ საფრანგეთის მთავრობის წევრები ე. მიშელი, ა. მალრო და ლ. ჟოქსი, ეროვნული კრების თავმჯდომარე შაბან-დელმასი, გენერალური შტაბის უფროსი გენერალი პ. ელი, პარიზის სამხედრო გუბერნატორი გენერალი რ. სალანი.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და საფრანგეთში მოგზაურობის დროს მისი თანმხლები პირები, აგრეთვე ოფიციალური კორტეჟით მოსული საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი დებრე და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუე დე მიურვილი შედიან სალატიო სალონში. საბჭოთა მთავრობის მეთაური ესალმება და ესაუბრება საფრანგეთის ოფიციალურ პირებს და საბჭოთა კოლონიის წევრებს, რომლებიც მოვიდნენ მის გასაცილებლად. შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი მიდის მიკროფონთან და წარმოთქვამს სიტყვას.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

პატივცემულო მეგობარო ფრანგებო!

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენი თვითმფრინავი დატოვებს სტუმართმოყვარე საფრანგეთის მიწას. როცა გონების თვალს გადავავლებთ იმ გზას, რაც ჩვენ თქვენს ქვეყანაში გავიარეთ, მინდა ერთხელ კიდევ გულითადი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ასე გულთბილად გვხვდებოდა ჩვენ და ჩვენი სახით მიესალმებოდა საბჭოთა ხალხის წარგზავნილებს, მადლობა გადავუხადო ყველა ფრანგს, რომლებმაც მეგობრული გრძნობები გამოამჟღავნეს ჩვენი ქვეყნის მიმართ.

ჩვენ კმაყოფილი ვართ საფრანგეთში მოგზაურობით, პატივცემულ პრეზიდენტთან, გენერალ დე გოლთან შეხვედრებითა და საუბრებით. ჩვენ თან მიგვყავდა მტკიცე რწმენა, რომ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის შეიძლება დამყარდეს და უნდა დამყარდეს მტკიცე და ურყევი მეგობრობის დამოკიდებულება. ეს მეგობრობა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საიმედო გარანტია იქნება, იგი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ბედნიერ განვითარებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვლილი წლების მანძილზე ბევრი რთული პრობლემა დაგროვდა, მათ შორის საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებშიც. ყველა ამ პრობლემას ერთი შეხვედრით ვერ გადაჭრი. მაგრამ ჩვენ ერთობლივი ღონისძიებებით უნდა ვისწრაფოდეთ უკეთესი ურთიერთგაგებისაკენ. სწორედ ამ შეგრძნებით ვეთხოვებით საფრანგეთს და კიდევ და კიდევ ვამბობთ: ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რის მიღწევაც შევძელით გენერალ დე გოლთან ერთად ჩვენი ერთობლივი ღონისძიებების შედეგად ასეთ მოკლე დროში. გმადლობთ მეგობრული შეხვედრისათვის, საბჭოთა ხალხისადმი პატივისცემის გულწრფელი გრძნობებისათვის.

გაივლის რამდენიმე საათი და ჩვენ უკვე მოსკოვში ვიქნებით, სადაც შეგვიძლია ვუამბოთ საბჭოთა დედაქალაქის მცხოვრებთ იმ გულითადობასა და სტუმართმოყვარეობაზე, რასაც ჩვენ ვხვდებოდით ყველგან საფრანგეთში.

ნახვამდის, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო. ახალ შეხვედრებამდე, რომლებიც ხელს შეუწყობენ დედამიწის ყველა ხალხის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას. **(ტასი).**

* * *

შემდეგ მიკროფონთან მიდის საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მიშელ დებრე.

მიშელ დებრეს სიტყვა

1945 წელს მიწყდა ზარბაზნების გრიალი. ხალხებს დიდი იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს იმედი მალე გაქრა. ეს მშვიდობა როდი იყო. პირიქით, მსოფლიო კვლავ გაყოფილი დარჩა სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური, სამხედრო მხრივ. ამ მიზეზს, რაც შეშფოთებასა და წუხილს იწვევდა, სხვებიც დაერთო. ცვლილებანი, რომლებიც ზოგიერთ კონტინენტზე და ზოგიერთ ქვეყანაში ხდება, ჩვენი საუკუნის დამახასიათებელი ნიშანია: პოლიტიკური უთანხმოების სიმწვავემ ეს ცვლილებანი დამატებით საფრთხედ გადააქცია. ბოლოს საომარმა ტექნიკამ, რომელმაც განვლილი ომის ბოლოს სწრაფი განვითარება იწყო, ისეთი მიმართულება მიიღო, რომელიც დიდ სახელმწიფოებს ამეირიდან აქცევს ისეთი დამანგრეველი ძალის მქონედ, რომ გონებას არ შეუძლია დამშვიდებით წარმოიდგინოს მთელი შედეგები.

ბოლოს და ბოლოს მთელი რიგი ახალი განსაცდელის შემდეგ ცხადი გახდა, რომ საღი აზრი მოითხოვს დამშვიდებას და ეს დამშვიდება საკვლევით საჭიროა, თუ ადამიანებს, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა მსოფლიოს წინაშე, არა სურთ, რომ მსოფლიო კატასტროფისაკენ მიდიოდეს. აი როგორ წარმოიშვა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების იდეა. და სად უნდა დაბადებულიყო კიდევ იგი, თუ არა იმათ — სამწუხაროდ, გათიშულ — ბანაკში, ვინც პირველ რიგებში იყო უკანასკნელ ომში. განა მათმა გათიშვამ, როგორც მშვიდობის პირობებში, ისე ომის პირობებში, არ გამოიწვია უკვე დიდი უბედურება როგორც იმათთვის, ისე ამათთვის...

ო! რა თქმა უნდა, დაძაბულობის შენელება იოლი საქმე როდია, იოლი საქმე როდი იქნება. წარმატების მისაღწევად საჭიროა საკმაოდ იშვიათი და საკმაოდ ძლიერი დამთხვევა მისწრაფებისა, რათა გადაილახოს წარსულით წარმოშობილი საშიშროება, შიში მომავლის გამო, ინტერესთა განსხვავება. მაგრამ დასავლეთიც და აღმოსავლეთიც ახალ ქვეყანაში, ისე როგორც ძველ კონტინენტზე, მგონია, ამკამად ხედავენ საკმაო საერთო მისწრაფებასა და საკმაო ადამიანებს, რომლებსაც შეგნებული აქვთ ომის ტრაგედია, რათა იმედი კვლავ დაისახოს.

თქვენ, ბატონო თავმჯდომარეო, რომელიც მეთაურობთ ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს, ხართ ადამიანი, ვისაც შეგნებული აქვს პასუხისმგებლობა, რაც ეკისრება თქვენს ქვეყანას თვით მისი ძლიერების გამო, და თქვენ ამტკიცებდით და მოისურვეთ დაგემტკიცებინათ, რომ დაძაბულობის შენელების მომხრე ხართ. თქვენ იცით, რა სულისკვეთებით ვისმენდით თქვენს სიტყვებს რამდენიმე უკანასკნელი თვის განმავლობაში და ვაფასებდით თქვენს მოღვაწეობას. თათბირამდე, რომელმაც მაისში უნდა გამოხატოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეს საერთო ღონისძიება, ამ თათბირამდე, ვამბობ, თქვენ დათანხმდით გეპასუხნათ გენერალ დე გოლის მოწვევაზე. ეს ნიშნავს, ...